თბილისი

ჩვენი ქალაქის ელექტრონული



2025

ტური მომზადდა სერიის “როგორ იქმნებოდა საქართველო” ფარგლებში.

პროექტის მიზანია, მოგვითხროს თბილისის მდიდარ ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებაზე. ასევე, წარმოაჩინოს იმ უმცირესობების წვლილი, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში შექმნეს საქართველოს
საერთო ისტორია
და კულტურული
მემკვიდრეობა.

2025

ტურის შესავალი

თბილისის დაარსება | აბანოები

ჩვენი დღევანდელი ტურის მიზანია თბილისი გავიცნოთ, როგორც მულტიკულტურული ქალაქი. რადგან თბილისის ისტორიის სრულად დაფარვა შეუძლებელია ერთი ვიზიტით, ჩვენ ავარჩიეთ რამდენიმე ადგილი, რომლის შესახებაც დღეს მოგიყვებით. სწორედ ამიტომ ჩვენ თითოეულ ობიექტზე ერთნაირად სტრუქტურირებული ინფორმაცია მოვამზადეთ და თითოეული მათგანის ისტორიის, არქიტექტურის, რელიგიური მნიშვნელობის შესახებ მოგითხრობთ. ასევე, მოგიყვებით, თუ რა ასახვა და გავლენა ჰქონდა და აქვს ამ კულტურულ მრავალფეროვნებას ქართულ ენაში.

ახლა ჩვენ ვიმყოფებით ტურის საწყის წერტილში - აბანოთუბანში. სწორედ ესაა ქალაქის ის ნაწილი, რომელიც ადგილობრივებისთვის ყველაზე "თბილისურ" ადგილად აღიქმება.

რადგან საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის აბანოთუბანი ასოცირდება ფართოდ გავრცელებულ ვახტანგ გორგასლის მიერ თბილისის დაარსების ლეგენდასთან, ჩვენც სწორედ ამ ადგილით დავიწყებთ და შევეცდებით, რომ მოგითხროთ ბევრად მეტი თბილისის ისტორიის შესახებ, ვიდრე ეს ამ მე-19 საუკუნის ლეგენდაშია.

ამ უბნის მაღალი ურბანიზაციის პირობების გამო, ფაქტობრივად, შეუძლებელია არქეოლოგიური გათხრების ჩატარება. შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია, როდის დასახლდა პირველი ადამიანი თბილისში. მაგრამ, მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევებით აღმოჩნდა, რომ თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანი ჯერ კიდევ ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში ცხოვრობდა (დიდუბის აღმოჩენები). თბილისი დასახლებულია ძვ. წ. III-II ათასწლეულებში (ღრმაღელეს აღმოჩენები) და ამ პერიოდის თბილისი დიდ საერთაშორისო სავაჭრო გზაზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა.

ახლა უკვე ვიცით, რომ თბილისში ადამიანთა დასახლება ვახტანგ გორგასლამდე თითქმის 10 საუკუნით ადრე ჩნდება და მოდით, გადავიდეთ თბილისის, როგორც ტოპონიმის წარმოშობაზე.

მკვლევართა შორის არსებობს რამდენიმე ვერსია თბილისის ტოპონიმის წარმოშობის შესახებ. ერთი ვერსიის თანახმად, ამ ადგილს თავდაპირველად ეწოდა „ტფილისი", რადგან ინდო-ევროპულ ენებში სითბოს სწორედ მსგავსი სიტყვები აღნიშნავდა.

მეორე ვერსიით კი, სახელი „თბილისი" დაკავშირებული უნდა იყოს ეთნონიმ თაბალ/თობალ/თუბალთან - ბიბლიასა და ასურულ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ ტომთან, რომელიც მიჩნეული იყო ნოეს ძის, იაფეტის ვაჟის, თაბალის შთამომავლად. ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ისინი ქართველების წინაპრები იყვნენ. ამ და სხვა მიზეზების გამო, არსებობს მოსაზრება, რომ თბილისი სწორედ თაბალების ქალაქს - „თაბალისს" აღნიშნავდა. მართალია, თბილისის სახელწოდების დაკავშირება სიტყვა „სითბოსთან"

უფრო ლოგიკური ჩანს, თუმცა, არც მეორე ვერსია არის გამოსარიცხი, რადგან სახელწოდება „მცხეთა“,ასევე, უძველეს წყაროებში მოხსენიებულ ტომს - მუშქ/მოსხ/მესხს უკავშირდება („მესხთა“ - „მცხეთა“).

ტურის განმავლობაში ჩვენ ძალიან ბევრი სხვადასხვა, ერთმანეთისგან ცალსახად განსხვავებული, კულტურის კვალს შევხვდებით თბილისში.

ამ ადგილას საუბარი შეგვიძლია დავიწყოთ რომაული კვალით, რომელიც არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდაეს არის ახ. წ. II-III საუკუნეების აბანო, რომელსაც ახასიათებს როგორც რომაული, ასევე აღმოსავლური ნიშნები. აღსანიშნავია, რომ არქიტექტურულად თბილისის ეს უძველესი აბანო სწორედ დასავლური და აღმოსავლური კულტურის ნაზავია.

ალბათ, იკითხავთ, საიდან აღმოჩნდა რომაული აბანო ამ პერიოდის თბილისში? თბილისი რომაელთა თვალსაწიერში რომ იყო, ამაზე მეტყველებს IV საუკუნის რომაული საგზაო რუკა, რომელიც გაცილებით ადრეულ მონაცემებსაც ეყრდნობა და ამ რუკაზე იბერიის ტერიტორიაზე მონიშნულია პუნქტი „Tilida“, რომელიც სწორედ თბილისთან არის გაიგივებული. შესაბამისად, რომაელთათვის თბილისი მნიშვნელოვანი ადგილი იყო მსოფლიო რუკაზე.

ამგვარად, თბილისი, როგორც მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი, ვახტანგ გორგასლამდე გაცილებით ადრე არსებობდა. V საუკუნის ბოლოსკენ ის იმდენად განვითარდა და დაწინაურდა, რომ ეს ქალაქური დასახლება არა მხოლოდ ქალაქად, არამედ ქვეყნის დედაქალაქადაც იქცა.

რაც შეეხება ლეგენდას ვახტანგ გორგასლის მიერ თბილისის დაარსების შესახებ, ეს არის შუა საუკუნეების ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ურბანული ლეგენდა, რომელშიც არეულია ისტორიული სინამდვილე და მითოლოგიური ფიქცია და ძალიან ჰგავს ფარნავაზის მიერ განძის აღმოჩენის ლეგენდას. არ არის გამორიცხული, რომ ვახტანგ მეფის მიერ თბილისის დაარსების ზეპირსიტყვიერი ლეგენდის პროტოტიპი ფარნავაზის ეს ამბავიც ყოფილიყო.

რა აერთიანებს თბილისის დაარსების ლეგენდასა და რეალურ ისტორიას? მისი დაარსების მთავარი მიზეზი - ბუნებრივად ცხელი წყლები!

აბანოების ისტორია თბილისში

თბილისის აბანოები ისევე, როგორც ძველი თბილისის ნაწილი, არაერთხელ ემსხვერპლას ომსა და შემოსევებს, ამიტომ გამუდმებით ხდებოდა ნაგებობათა აღდგენა და განახლება. ჩვენამდე მოღწეული აბანოების დიდი ნაწილი, დაახლოებით, XVII საუკუნით თარიღდება; თუმცა, მათი გარკვეული სეგმენტები აღდგენილია უფრო გვიან პერიოდში. თითქმის ყველა აბანო აღმოსავლურ (ძირითადად, ირანულ) სტილშია ნაგები – აბანოთა დარბაზები მიწის დონიდან ქვემოთაა და გადახურულია კამაროვანი სახურავით.

თბილისის უძველესი აბანოდ, ჯერ-ჯერობით, ითვლება 40 მოწამეთა ეკლესიის ქვემოთ აღმოჩენილი აბანო, რომელიც II-III საუკუნეებით თარიღდება და დასავლური და აღმოსავლური კულტურის ნაზავია. იმ პერიოდის თბილისში ამგვარი აბანოს არსებობა მიუთითებს, რომ თბილისის ბუნებრივი გოგირდოვანი წყლები უკვე ფართოდ გამოიყენებოდა და, შესაძლოა, კომერციული ობიექტიც კი ყოფილიყო. მისი შერეული არქიტექტურული ტიპი მიანიშნებს ვიზიტორების მულტიკულტურულობაზე - აბანოს არქიტექტორმა ნაგებობის იერსახე მისაღები გახადა ორივე სამყაროს წარმომადგენლისათვის.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აბანოების კულტურა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. გვიანდელი ანტიკური ხანის აბანოები აღმოჩენილია არმაზისხევში, ბაგინეთში, ძალისში, ბიჭვინთაში, შუხუთში, გეგუთში, ციხისძირსა და ურბნისში. ფეოდალური ხანის აბანოები ან მათი ნანგრევები შემონახულია დმანისის ციხეში, ქვემო ჭალაში, ახალციხეში, თელავში, გრემში, ალავერდში, სამშვილდეში, ხერთვისში, გორში, თბილისში.

VII საუკუნიდან თბილისში არაბთა ბატონობის ხანა იწყება და ახალი რელიგია - ისლამი - შემოდის, რომლისთვისაც აბანოს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა, რადგან ლოცვამდე სხეულის განბანვა ისლამის ერთ-ერთი მთავარი წესი იყო. სწორედ ამის გამო თბილისის მუსლიმთა სალოცავები აბანოთუბნის ტერიტორიაზე იყო ძირითადად აგებული.

საისტორიო წყაროებით ცნობილია თბილისის „ისმაილის აბანო“, როგორც „თბილელ მუსლიმთა მთავარი აბანო“. ეს აბანო არა მხოლოდ ჰიგიენური დაწესებულება, არამედ რელიგიური დაწესებულებაც ყოფილა.

დავით აღმაშენებელმა, თბილისის აღების შემდეგ მუსლიმებთან დაზავებისას, ერთ-ერთ პირობად მიიღო, რომ ისმაილის აბანო უწინდებურად მხოლოდ მუსლიმებისა იქნებოდა, და ქართველები, სომხები და იუდეველები ამ აბანოთი არ ისარგებლებდნენ. ამგვარად, თბილისურ აბანოს იმხელა მნიშვნელობა ჰქონდა თბილისელ მუსლიმთა თემისათვის, რომ ზავის ერთ-ერთი პირობაც კი გახდა მისი ფლობა.

ამავე ცნობებიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ შუა საუკუნეების თბილისში იქნებოდა როგორც ქართველების, სომხების, ებრაელებისა და სხვა ეთნიკური ჯგუფების კერძო აბანოები, ასევე შერეული აბანოები, რითიც ყველა ეთნოსისა და რელიგიის წარმომადგენელს შეეძლო ესარგებლა.

აბანოები ეკუთვნოდათ ქართველ მეფეებს, ქართველ და სომეხ დიდგვაროვნებს, ქართულ ეკლესიასაც კი. თბილისის აბანოები მუდმივად შენება-გადაკეთებას განიცდიდა და ხელიდან-ხელში გადადიოდა.

განსაკუთრებით საინტერესოა რამდენიმე აბანოს ისტორია:

ქართველ მეფეებს თბილისში ეკუთვნოდათ აბანო, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისში სიონის ეკლესიას შესწირეს. ეს აბანო ეკლესიის საკუთრებაში რჩებოდა საუკუნეების განმავლობაში, თუმცა, XVIII საუკუნის დასაწყისში ის სადავო გამხდარა ქალაქის მუსლიმურ თემსა და ეკლესიას შორის. დავა იმდენად გამწვავებულა, რომ მასში თვით სპარსეთის შაჰი და მეფე ვახტანგ VI ჩაერთნენ. საბოლოოდ, 1718 წელს, სპარსეთის შაჰის განკარგულებით, აბანო ეკლესიის განკარგულებაში დარჩა, თუმცა, იმ პირობით, რომ აბანოთი შეეძლოთ ესარგებლათ მუსლიმებსაც. თბილისის ყოფილი სამეფო აბანო კარგი მაგალითია თბილისური მულტიკულტურული მრავალფეროვნებისა და ერთობისა.

თბილისის აბანოებზე ცნობებს უხვად ვხვდებით დასავლელი და აღმოსავლელი მოგზაურობის წერილებსა და მოგონებებში. ამ ცნობებს ბევრი საერთო აქვთ, ხაზგასმით აღნიშნულია თბილისური აბანოების წყლის სისუფთავის მაღალი ხარისხი, გოგირდის წყლების სამკურნალო თვისებები და აბანოების განსაკუთრებული როლი თბილისის ქალაქურ ცხოვრებაში. XIX საუკუნის მოგზაურების აღწერით, თბილისში აბანოები სპარსული ყაიდის იყო, თუმცა, იქ ქრისტიანები და ებრაელებიც დადიოდნენ. აბანოებზე გუმბათების დაშენებას კი ოსმალურ პერიოდს უკავშირებდნენ.

საინტერესოა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე თბილისურ აბანოებში დაუშვებელი იყო ქალისა და კაცის ერთ სივრცეში ყოფნა. ·არსებობდა წესი, რომლის მიხედვითაც ერთი დღე ქალებისა იყო, ხოლო მეორე დღე კაცების. რუსული მმართველობის პერიოდში კი ეს წესი შეცვლილა და თბილისის აბანოებში რუსული ყაიდის წესი დამკვიდრებულა, რასაც მრავალი უწესობა და სკანდალი მოჰყოლია.

მიუხედავად ამისა, XIX საუკუნეში თბილისის აბანოები კვლავ ქალაქის სავიზიტო ბარათი იყო. მათ შესახებ კვლავ იყო ცნობილი საერთაშორისო ასპარეზზე და მრავალმა მოგზაურმა წინასწარ იცოდა, სად უნდა მისულიყო თბილისში ყოფნისას.

პუშკინი, დიუმა, რუსი ვაჭარი ვასილ გაგარა, საფრანგეთის კონსული თბილისში ჟაკ ფრანსუა გამბა და ინგლისელი ჯონ უორდროპი საინტერესო ცნობებს გვაწვდიან თბილისური აბანოების შესახებ.

როდესაც სპარსულ-ირანული კულტურის საქართველოსთან კავშირსა და ქართულ კულტურასთან საუკუნეობრივ თანაცხოვრებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, თუ რა გავლენა იქონია ამ ყველაფერმა ქართულ ენაზე. ენა ხომ კონკრეტული ერის იდენტობისა და ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო გამომხატველია.

სპარსულ-ირანულმა კულტურამ ქართულ ენაში დაამკვიდრა ისეთი სიტყვები, რომელსაც დღესაც აქტიურად ვიყენებთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითად: განძი, ნამუსი, მასპინძელი, ეშმაკი, ქალაქი, ხაზინა, ქამარი, ქარხანა, აივანი, ბაღი, ბაღჩა, იასამანი, ზეიმი, ზამთარი, კაბა, ნიშანი, ნოხი, ხალიჩა, ქიშმიში, ხურმა, ალუბალი, ჯადო, ჯამი, ჯილდო... ამ სიტყვებიდან არაერთი დღეს თბილისური თუ ქართული იდენტობის უმთავრესი მარკირების ნიშან-თვისების აღმნიშვნელია.

ჭრელი აბანო / ორბელიანების აბანო



საუკუნეების განმავლობაში ამ ტერიტორიაზე არსებული აბანოები მუდმივ გადაკეთება-მოდერნიზაციას, ან საფუძვლიან აღდგენას განიცდიდნენ. აბანოების მეპატრონეებიც იცვლებოდნენ და, შესაბამისად, მათი სახელებიც იცვლებოდა. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ დღემდე უცნობია ამა თუ იმ აბანოს თავდაპირველი სახელწოდება.

იგივე შეიძლება ითქვას თბილისის გამორჩეულ ჭრელ აბანოზე (ყოფილი „ორბელიანების აბანო“). ისტორიული წყაროებით, ქვემო ქართლის დიდებულები ორბელიანები დედაქალაქში XVIII საუკუნის დასაწყისში მკვიდრდებიან და მეფეებისგან სასახლეებსა და მამულებს იღებენ. ამავე წყაროებიდან ჩანს, თუ როგორ ფართოვდება მათი უძრავი ქონება დედალაქში. ქალაქში „ორბელიანთუბანიც“გაჩენილა. სავარაუდოდ, ამავე პერიოდში დაეუფლნენ გამორჩეულად ლამაზ აბანოს, რომელსაც „ორბელიანებისა“ ეწოდა.

აბანოს სახელი, ხშირად, მისი მფლობელის სახელიდან, ან მისი თანამდებობიდან გამომდინარეობდა, ამიტომ სახელწოდება იმის მიხედვით იცვლებოდა, თუ ვის მფლობელობაში იყო ის. თბილისში რამდენიმე დიდი აბანო იყო, რომელსაც მფლობელების სახელებით მოიხსენიებდნენ: „სუმბათაშვილების“, „ბებუთაშვილების“, „ზუბალაშვილების“, „ორბელიანების“ (იგივე ჭრელი), „ერეკლეს“, „მეითრის“, „ენელას“. აბანოების სახელების ნაწილი მათი ნიშან-თვისებიდან მომდინარეობდა: „გრილი აბანო“, „ჭრელი აბანო“, „პატრუქის აბანო“ და ასე შემდეგ.

ირანელი გენერალი ჯემშიდ ხან აფშარ ორუმი, რომელმაც თბილისში მკურნალობის მიზნით 1894 წელს იმოგზაურა, თავის წერილში ამბობს:

„თბილისის აბანოებს ბადალი არა ჰყავს, თუ არ ჩავთვლით საზაფხულო აბანოებს. მათში ბუნებრივი ცხელი წყალი მოდის. აქ რამდენიმე ტიპის აბანოა: საერთო, ცენტრალური და კერძო. კერძო აბანო დაახლოებით ათიოდეა.” წერილში ის, ასევე, საუბრობს აბანოს ინტერიერსა და ექსტერიერში არსებულ არაერთ ევროპულ თუ აზიურ მახასიათებელზე.

როგორც ჩანს, აღმოსავლური და დასავლური მოტივების შერწყმა ორბელიანების აბანოს გამორჩეული ნიშანი იყო.

მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც აბანო ორბელიანების გვარს აღარ ეკუთვნოდა, მას ეწოდა მისი იერსახის შესაფერისი სახელი - „ჭრელი აბანო“. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ის აღმოსავლურ ყაიდაზე გადაკეთდა და ახალი სახელწოდება სხვადასხვა ფერის ფილების გამო მიიღო, რომლითაც მოპირკეთებულია მინარეთის მსგავსი კოშკებით დაგვირგვინებული მისი პორტალი.

ისლამი საქართველოში

მე-7 საუკუნეში აღმოცენდა ახალი რელიგია - ისლამი, რომელიც ელვის სისწრაფით გავრცელდა მაშინდელი მსოფლიოს დიდ ნაწილში. არაბთა თვალსაწიერში კავკასია და საქართველოც მოექცა.

ისლამი თბილისში VII საუკუნიდან ჩნდება, ქართლში არაბთა გამოჩენის პერიოდიდან. თბილისში პირველი მეჩეთის მშენებლობა არაბების მიერ ქალაქის დაკავებიდან მალევე უნდა დაწყებულიყო. ამის თაობაზე მინიშნებას ვხვდებით „დაცვის სიგელში“, რომლითაც განისაზღვრა ქართლისა და არაბთა სახალიფოს ურთიერთობა. „დაცვის სიგელის“ მიხედვით, ქართლის მკვიდრი, საკუთარი ნებით გამუსლიმების შემთხვევაში, არაბთა ძმად გამოცხადდებოდა და გადასახადისგან გათავისუფლდებოდა. ბუნებრივია, ადგილობრივებისთვის ისლამის მიღების შეთავაზება თავისთავად გულისხმობდა მათ სამლოცველოთი, ანუ, მეჩეთით უზრუნველყოფას. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ თბილისში პირველი მეჩეთი სწორედ მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში აიგებოდა და, დიდი ალბათობით, ის დღევანდელი ლურჯი მეჩეთის ადგილზე იდგა.

თავდაპირველად, არაბთა რელიგიური პოლიტიკა თბილისისა და, ზოგადად, ქართლის მოსახლეობის მიმართ, ისევე, როგორც სხვაგან, მშვიდობიანი და შემწყნარებლური იყო. „დაცვის სიგელის“ მთავარი პრინციპი ქართლის მკვიდრების მიერ მუსლიმთათვის სტუმართმოყვარეობის გამოჩენა იყო. მე-10 საუკუნის არაბი ავტორი იბნ-ჰაუკალი თბილისელების სტუმართმოყვარეობაზე წერდა, რომ თბილიესელებს „შორისაც არის უშიშროება და კეთილი მიღება უცხოელისა, კეთილგანწყობილება მათთან შემთხვევით

მოხვედრილისადმი და სიყვარული იმათდამი, ვინც ოდნავ მაინც გონიერია და აქვს რაიმე კავშირი ადაბთან. იმათგან, ვინც იქ შემთხვევით მისულა და დარჩენილა ერთ წელიწადს ან მეტსაც, ისინი ერთხმად ამბობდნენ, რომ არც ერთ მათგანს არ გაუთევია ღამე თავის სახლში მარტო და რომ ეს შეუძლებელიც იყო."

თუმცა, უკვე მე-8 საუკუნის 30-იანი წლებიდან ეს მიდგომა შეიცვალა - აბასიანების დინასტიის მოსვლის შემდეგ სახალიფომ არამუსლიმთა დევნა დაიწყო. მურვან ყრუს ლაშქრობებისას (735-36 წწ.) კი თბილისის საამიროც შეიქმნა და თბილისი იქცა „ისლამის ტერიტორიად. ამიერიდან, თბილისის ტერიტორიაზე მეჩეთებისა და ისლამის სხვა რელიგიური ნაგებობების აგება თბილისის ამირების ვალდებულებად იქცა.

მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში იშვიათი მოვლენა მოხდა - ბაღდადელმა არაბმა აბომ ისლამი უარყო და ქრისტიანობა მიიღო. თბილისის ქრისტიანული თემი კვლავ ძლიერი იყო და მშვიდობიანად თანაარსებობდა უფრო პრივილეგირებულ თბილისის მუსლიმურ თემთან (გარკვეული წესების დაცვით). მშვიდობიან და დიპლომატიურ თანაარსებობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ თბილისის მუსლიმური ხელისუფლების მიერ შეპყრობილი აბო სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის თხოვნით გაათავისუფლეს. როგორც ირკვევა, თბილისის ამირა დიდ ანგარიშს უწევდა ქართლის ერისმთავარს და ქალაქის ქრისტიანულ თემს. სიმბოლურია, რომ თბილისის მფარველი წმინდანი ეროვნებით სწორედ არაბი აბო თბილელია.

ამავე პერიოდში, მუსლიმებს შორის დაწყებული შიდა დაპირისპირების ნიადაგზე, ისლამის ტრადიციულ მიმდინარეობას სუნიზმს მეორე მიმდინარეობა შიიზმი დაუპირისპირდა. სახალიფოში სუნიზმმა იმარჯვა, ხოლო დევნილი შიიტების ნაწილმა თბილისს შეაფარა თავი. ამის გამო თბილისში შიიტური მიმართულებაც გაძლიერდა. ამგვარად, სუნიტური თბილისი დევნილი შიიტებისთვისაც იმდენად სტუმართმოყვარე ქალაქი აღმოჩნდა, რომ ის წმინდა ქალაქადაც იყო მიჩნეული და ქუფასა და ყუმის გვერდით იხსენიებოდა.

თბილისში სუნიტებისა და შიიტების ურთიერთობა პერიოდულად იცვლებოდა. საინტერესოა, რომ თბილისის საამიროს პერიოდში თბილისში თანაარსებობდა ქალაქის სამი ძირითადი რელიგია - ქრისტიანობა, ისლამი და ზოროასტრიზმი. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, ისინი არათუ იდევნებოდნენ დომინანტი რელიგიის მხრიდან, არამედ ღია დოგმატიკურ განხილვებსაც აწყობდნენ შუა ქალაქში.

თბილისის საამიროს მუსლიმებისა და ქრისტიანების ურთიერთობა, უმეტესწილად, მშვიდობიანი, საქმიანი და დიპლომატიური იყო. მიუხედავად სარწმუნოებრივი განსხვავებებისა და რიგი დაპირისპირებებისა, არსებობს თბილისის მულტიკულტურულობის ამსახველი ისტორიული წყაროები.

მაგალითად:

- ის, რომ მე-11 საუკუნეში ამირა მცხეთის გადასახადებს აუქმებს.
- დიღმის XI საუკუნის ეკლესიის წარწერები, რომლის მიხედვითაც ეკლესიას აშენებენ ქართველი ქრისტიანები, რომელთაც აღმოსავლური სახელები ჰქვიათ - დინარი, აჰმედი და აბულახტარი;
- შუასაუკუნეების ისლამური ლიტერატურა და მეცნიერება იცნობს მრავალ თბილისელ მოღვაწეს, რომლებიც საზღვარგარეთ მოღვაწეობდნენ, თუმცა, არ ივიწყებდნენ საკუთარ წარმომავლობას და მეტსახელადაც იყენებდნენ.

თბილისში ქრისტიანობისა და ისლამის თანაარსებობის საინტერესო ხანა იწყება 1122 წელს დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღებიდან და 400 წლიანი მუსლიმთა მფლობელობიდან გათავისუფლების შემდეგ.

დავითმა, თბილისელი მუსლიმების გააფთრებული წინააღმდეგობისა და ეთნიკურ-რელიგიური ნიშნით დაწყებული სისხლისღვრის შემდეგ, თბილისელ მუსლიმებთან მოლაპარაკება დაიწყო. საბოლოო ჯამში, ზავის პირობები ასეთი სახით შედგა:

- მუსლიმთა უბანში ღორი არ გადავიდოდა, იქ არ დაიკვლებოდა და არც მათ ბაზარში გაიყიდებოდა;
- დავითმა მათ მოუჭრა ფული, რომელზეც ეწერა სულთნისა და ხალიფას სახელები, ასევე, ალაჰი და მუჰამედი იხსენიებოდა, კიდეზე უშუალოდ დავით მეფე იყო მოხსენიებული;
- ვინც მუსლიმს რაიმე ვნებას ან ზიანს მიაყენებდა, შეეძლოთ მისი დაუსჯელად მოკვლა (ეტყობა, ასეთ მკაცრ ზომებს ახლად აღებული ქალაქის ეთნიკური კონფლიქტების მწვავე რეალობა ითხოვდა);
- შეეძლოთ შეუფერხებლად აღესრულებინათ რელიგიური რიტუალები და ხალიფა და სულთანიც კი მოეხსენიებინათ;
- მეფემ მათ პირობა დაუდო, რომ ისმაილის აბანოში არ შევიდოდა არც ქართველი, არც სომეხი და არც იუდეველი;
- გადასახადები: ქართველს - 5 დინარი; იუდეველის - 4 დინარი; მუსლიმს - 3 დინარი.

დავითმა მუსლიმებს შეღავათები და პრივილეგიებიც კი მისცა, ანგარიშს უწევდა მათ ჩვეულებებს და თბილისში მუსლიმი პოეტების სასახლე ააშენა. დავით მეფეზე არაბი ისტორიკოსებიც მოგვითხრობენ. ალ-ჯაუზის ცნობით, დავითი შვილთან ერთად ყოველ პარასკევს მიდიოდა მეჩეთში, ისმენდა ყურანს და სწირავდა ფულს. ამ ცნობაში პარასკევზე მითითებით, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ დავითი და დემეტრე სწორედ თბილისის ჯუმა მეჩეთში დადიოდნენ.

ალ-ფარიკი ამბობს, რომ ამხელა პატივი, რაც დავითმა მუსლიმ მეცნიერებს, ღვთისმეტყველებსა და სუფიებს მიაგო, თვით მუსლიმებისგანაც კი არ ჰქონდათ. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს წესი დემეტრე I-ის დროსაც ძალაში იყო.

თბილისურ მულტიკულტურულობაზე და რელიგიურ შემწყნარებლობაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია უცნობი ავტორის მიერ XII საუკუნეში გაკეთებული ჩანაწერი: „ახლა იგი (თბილისი) ქურჯთა (ქართველთა) ხელშია. დაიპყრეს იგი მათ მეორე ათეულში 500 წლიდან და ქურჯთა მეფე, მიუხედავად მისი ურწმუნოებისა, მწყსავს მის მოსახლეობას და იცავს მათ მხარეს ყოველგვარი ზიანისაგან. ისლამის წესები იქ ისევე (სრულდება) როგორც წინათ. საკრებულო (ჯუმა) მეჩეთი დაცულია ყოველგვარი უკეთურებისაგან. მეფე ანთებს იქ სანთელსა და კანდელს და ასრულებს, რაც საჭიროა. აზანი მის ყველა მეჩეთში წარმოითქმის. აშკარად და ჭეშმარიტად, მათ ვერავინ ვერ აყენებს ვნებას. ახლა ერთმანეთშია არეული მუსლიმი და ქურჯი.“

მე-13 საუკუნეში, ჯალალ ად-დინის შემოსევის დროს, თბილისელ სუნიტებსა და შიიტებს, რომელთა შორის რელიგიურ-დოგმატური დაპირისპირება მუდამ იყო, საერთო გასაჭირი დაატყდათ თავს. ხორეზმის შაჰი სუნიზმის მიმდევარი იყო, თუმცა, თბილისელი სუნიტებისგან განსხვავებულ მაზჰაბს აღიარებდა, რის გამოც შაჰის მიერ თბილისის აღებას დიდი ტრაგედია მოჰყვა თბილისელი მუსლიმებისთვისაც. მემატიანე ჯუვეინის ცნობით, ხვარაზმელებმა თბილისში ეკლესიების ადგილზე მუსლიმური სამლოცველოები გამართეს.

მეჩეთების ისტორია თბილისში

თბილისის მეჩეთებზე შედარებით მეტი ცნობა გვაქვს მე-16 საუკუნიდან. ქართული ისტორიული წყაროებით, 1522 წელს ირანის შაჰმა ისმაილ I-მა აიღო თბილისი და მეტეხის ციხის ყურეში მეჩეთი ააგო. მაგრამ, სპარსული წყაროებით მსგავსი არაფერი დასტურდება.

ოსმალური წყაროების ცნობით, 1578 წელს ოსმალებმა თბილისის ცენტრში ორი მეჩეთი ააშენეს. თუმცა, წყაროში მშენებლობის ისეთ ტემპზეა საუბარი, რომ უფრო ეკლესიების მეჩეთებად გადაკეთების ამბავია მოთხრობილი, და არა შენობის აგების. სავარაუდოდ, სიონიც მუსლიმურ სამლოცველოდ აქციეს.

მე-16 საუკუნეში თბილისელი სუნიტებისა და შიიტების გაძლიერება-გამრავლება პირდა-პირ უკავშირდება თბილისზე სპარსეთისა და ოსმალეთის გავლენის გაძლიერებას. ოსმალო ისტორიკოსის ცნობით, რომელიც თბილისს 1646-47 წლებში სტუმრობდა, თბილისის მუსლიმები სუნიტები იყვნენ. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ის ჩამოთვლის თბილი-სელ სუნიტ წმინდანებსაც: იმამი ჰუსამ-ეფენდი, ფერჰად-ფაშას ქეთხუდა რიდვან-აღა...

მე-17 საუკუნის 30-იანი წლებიდან, როსტომ ხანის მიერ ირანიდან გამუსლიმებული ქართველებისა და სეიდების ტომის ჩამოსახლების შედეგად, თბილისში მომრავლდა შიიტური თემი. ვახუშტი წერს, რომ როსტომმა l სამი მეჩეთი ააგო. მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში კი ქართველებისა და შიიტების ურთიერთობა დაძაბული ჩანს.

ვახუშტის ცნობით, თბილისში ოსმალობის დროს - 1727 წელს - სამი მეჩეთი აიგო. 1728 წელს უკვე იხსენიება “ჯამი შერიფი”, იგივე ჯუმა (საპარასკევო) მეჩეთი, რომელიც თბილისის გარნიზონის სალოცავი ადგილი იყო. თბილისის მთავარი მეჩეთი ხიდთან მდებარეობდა.

ოსმალობის პერიოდში მეჩეთი და მედრესე დიდუბეშიც ყოფილა. საინტერესოა, რომ ოსმალებმა შეიმუშავეს ქართველების გამუსლიმების სპეციალური წესი, რომლის მიხედვითაც ისლამის მიღებისას წარმოსათქმელი დოგმატური ფრაზები ქართულადაც უნდა წარმოეთქვათ.

ოსმალობის შემდეგ, სპარსეთის მმართველმა თბილისში ყოფნისას დაანგრია ოსმალობის დროს აგებული სამი სუნიტური მეჩეთი.

თბილისელ მუსლიმებს კიდევ ერთი დიდი განსაცდელი აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებისას (1795 წ.) დაატყდათ თავს. სომეხი ისტორიკოსი სერობ გრიჩი აღნიშნავს, რომ ყიზილბაშებმა მუსლიმები ქრისტიანებზე მეტად ტანჯეს, დაატყვევეს და მათი სალოცავები დაწვეს. თბილისის ჯუმა მეჩეთი 1795 წელს ძალიან დაზიანებულა. თვითმხილველების თქმით, ყიზილბაშები შიიტურ მეჩეთშიც შეჭრილან და იქ მყოფი ყველა მუსლიმი ამოუხოცავთ. გადარჩნენ მხოლოდ თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე მოზარდები, რომლებიც, ნადავლთან ერთად, ტყვედ წაუყვანიათ. მეჩეთი კი გადაუწვავთ.

პარადოქსულია, რომ თბილისის მეჩეთებს და მუსლიმურ თემს საუკუნეების განმავლობაში მუსლიმი დამპყრობლები უფრო ერჩოდნენ, ხოლო ქართველი ქრისტიანი თუ გამუსლიმებული მეფეები უფრთხილდებოდნენ.

აღა-მაჰმად-ხანის გამანადგურებელი შემოსევის შემდეგ, თბილისელ მუსლიმთა რიცხვი მკვეთრად შემცირდა, თუმცა, თბილისის მეჩეთები მაინც აღადგინეს. სპარსელი მწერლის მირზა მოჰამად ჰოსეინ ფარაჰანის ცნობით, თბილისში 1885 წლისთვის ოცამდე დიდი და პატარა მეჩეთი იყო. ერთი დიდი მეჩეთი (ჯუმა მეჩეთი) სუნიტებს ეკუთვნოდათ, ხოლო მეორე (შაჰ-აბასისა) - შიიტებს.

თბილისელ მუსლიმურ თემზე ირანელმა დიდგვაროვანმა ზაჰირ ად-დოულემ 1900 წელს მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა. აშურას დღესთან (შიიტების მთავარი სამგლოვიარო დღე) დაკავშირებით თბილისში „ირანელებისა და კავკსიელი მუსლიმების ორი-სამი ჯგუფი შეკრებილიყო და რაღაც უჩვეულოდ გლოვობდა. თეირანში ასეთი არაფერი მენახა. მწარედ ავტირდი. ნაშუადღევს მუსლიმებისთვის თანაგრძნობის გამოსახატავად მეჩეთში წავედით. ეს მეჩეთი შაჰ-აბას სეფიანის აგებულია. ის მდინარე მტკვრის პირას, ხიდთან ახლოს დგას. პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზი შენობაა. თეირანის მეჩეთებს სულ არ ჰგავს. მისი ინტერიერი მთლიანად მოოქროვილი და მოხატულია და სარკეებით არის გაწყობილი. ძალიან მომეწონა, რომ კარებზე, ჭერზე და კედლებზე ალაჰის სახელები და პატარა ჰადისები ეწერა, მაგალითად „სიწმინდე რწმენისაგან“და მისთანანი. უეჭველია, რომ იმ მუსლიმს, რომელიც მეჩეთში ათჯერ მოვა და ამ ბრწყინვალე ჰადისებს წაიკითხავს, მეთერთმეტეჯერ ღმერთისა და წინასწარმეტყველის შერცხვება, მეჩეთში ფეხსაცმელს აღარ შეიტანს, თავისი სულიერი ძმის გვერდით არ დააწყობს, ბაყაყივით წამდაუწუმ ძირს არ დააფურთხებს და სხვა ღვთისმოსავებს მეორედ აქ მოსვლის სურვილს არ გაუქრობს. თბილისის მეჩეთი ოსმალურ მეჩეთებს ჰგავს, ანუ, წინ ღია სივრცე არა აქვს, ქუჩიდან პირდაპირ დიდ გადახურულ კარიბჭეში შედიხარ და იქიდან გამოსასვლელით ხვდები მეჩეთის ცენტრში, რომელსაც გუმბათი ხურავს.“

თბილისის შიიტური მეჩეთის ეს აღწერილობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ეს მეჩეთი დღეისათვის აღარ არსებობს. ის 1951 წლის შემოდგომაზე ქალაქის რეკონსტრუქციის გამო დაანგრიეს.

სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის დროს შიიტური მეჩეთი დაინგრა, დღეს ჯუმა მეჩეთი განსაკუთრებულია - ის ერთდროულად სუნიტების და შიიტების სამლოცველოა, რაც მუსლიმური სამყაროსთვის იშვიათი, ხოლო თბილისისათვის ძალიან სახასიათო მოვლენაა.

თბილისური ისლამი

თბილისური ისლამი არ იყო ერთგვაროვანი — აქ თანაარსებობდნენ როგორც სუნიტები, ასევე შიიტები. მიუხედავად ამ რადიკალური განსხვავებებისა, თბილისში ჩამოყალიბდა კულტურული მრავალფეროვნება. თბილისური მულტიკულტურული და მულტირელიგიური თანაცხოვრება დოკუმენტურადაც არის ასახული.

მე-17 საუკუნის ფრანგი მოგზაურის ჟოზეფ ტურნეფორის ცნობით, თბილისში „მაჰმადიანები დახმარებისათვის ქართველ (ქრისტიან) წმინდანებს მიმართავდნენ, ქართველები სომეხ (მონოფიზიტ) წმინდანებს, ხოლო სომხები ზოგჯერ შველას მაჰმადიან წმინდანებსაც შესთხოვდნენ“.

ტურნეფორის ეს დაკვირვება დოკუმენტურად დასტურდება: „ქართლში ისლამის გავლენის თვალსაზრისით, საინტერესოა XVII საუკუნის მიწურულის ქართული საადგილმამულო საბუთები. მათში ქრისტიანულ სახელებთან ერთად, მუსლიმური რელიგიური სიმბოლოებიც არის მოხსენიებული“.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ისლამური კულტურის ქართულ ქრისტიანულ კულტურასთან თანაარსებობაზე, ძირითადად მხედველობაში გვაქვს არაბული და ოსმალური (თურქული) კულტურა.

ენის როლს რელიგიის მაქსიმალურად ინტეგრაციაში მოწმობს ის, რომ ოსმალებმა, შეიმუშავეს სპეციალურად ქართველების გამუსლიმების წესი, რომლის მიხედვითაც ისლამის მიღებისას წარმოსათქმელი დოგმატური ფრაზები მას ქართულადაც უნდა წარმოეთქვა.

ამ კულტურების ქართულ კულტურასთან ასიმილაცია ჩვენს ენაში ძალიან კარგად იკითხება. ჩვენ დღემდე აქტიურად ვიყენებთ არაბულ თუ თურქულ სიტყვებს. მაგალითად, არაბულიდანაა შემოსული ნაფაზი, აუზი, სურათი, ოხერი, ფიქრი, არაყი, ამაყი, საგანი, ბარაქა, ღალატი, შუღლი, მსაჯული; ხოლო, თურქულიდან: ოჯახი, ფული, კერა, ბინა, საათი, სუფრა, ჩანთა, ოთახი, ფარდა, წესი, თამადა, ქუჩა, ტალღა, ფარდა.

ამ სიტყვების ნაწილი ქართული იდენტობის ყველაზე მკაფიო მარკერებთან არის დაკავშირებული, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის საქართველოში არსებულ კულტურათა თანაარსებობის გააზრებას.

თბილისის სომხური თემი

თბილისის ეთნიკური მრავალფეროვნება მის დაარსებასთან ერთად იწყება. უძველესი დროიდან ქალაქში დასახლებულან ვაჭრობა-ხელოსნობაში დახელოვნებული სომხები (და არა მხოლოდ!). ქართველ მეფე-მთავრებს ხშირად მოჰყავდათ ისინი ქალაქის ეკონომიკური განვითარების მიზნით.

თბილისში სომხური თემის დასახლების შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია. სავარაუდოა, რომ სომხები თბილისის ქალაქად თუ დედაქალაქად ჩამოყალიბების პერიოდშივე დამკვიდრდებოდნენ. ამაზე მიგვანიშნებს თბილისის სომხური სახელი ფაითაკარანი („ხის ქალაქი“), რაც მიუთითებს იმ დროზე, როცა ქალაქი ხისგან იყო აშენებული.

მე-5 საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის დროს, სომხური და ქართული ეკლესიების გზები გაიყო. მიუხედავად ამისა, მეფემ სცადა რელიგიური თანაცხოვრების შენარჩუნება და მხარი დაუჭირა „ჰენოტიკონის“ (ქრისტიანების ერთობის დოკუმენტი) მიღებას. მიუხედავად მცდელობებისა, მომდევნო საუკუნეებში სარწმუნოებრივი განხეთქილება გამწვავდა და აიკრძალა ყველანაირი ურთიერთობა, გარდა სავაჭროსი.

თუმცა, ქალაქური ცხოვრება ძლიერი კატალიზატორი იყო. თბილისი გახდა ადგილი, სადაც ქართველებსა და სომხებს შორის ურთიერთობები გრძელდებოდა. საუკუნეების განმავლობაში თბილისი დევნილი სომხებისათვის თავშესაფარი იყო. სავარაუდოა, რომ თბილისში და მის შემოგარენში სომხები სხვადასხვა დროს რამდენიმე ნაკადად მასოვრიბად დასახლდნენ.

ერთიანი საქართველოს პერიოდში მეფეებმა სცადეს სომხების უფრო აქტიური ინტეგრაცია. ვინაიდან რელიგიურ-დოგმატური განსხვავებები მათ შორის უკვე ძალზე ღრმა იყო, მიზანი სომხების ქალკედონურ რწმენაზე მოქცევა გახდა. ჩვენამდე მოაღწია ცნობებმა საქართველოში მცხოვრები სომხების ნაწილის ქალკედონურ რწმენაზე მოქცევისა და მეორე ნაწილის ძველი მრწამის ერთგულების შესახებ. ამის დასტურია მხარგრძელების ოჯახის მაგალითი: უფროსი ძმა ზაქარია სომხური რწმენის ერთგული დარჩა, უმცროსი ივანე კი მართლმადიდებლობაზე მოექცა. მიუხედავად ამისა, ორივე უმაღლეს თანამდებობაზე მსახურობდა ქართულ სახელმწიფოში.

მოგვიანებით, მონღოლობისა და მათი მემკვიდრეების გაუთავებელი ლაშქრობები კავკასიაში ერთნაირად აისახებოდა ქართველებსა და სომხებზე.

მარკო პოლოს ცნობით, XIII საუკუნის ბოლოს თბილისის მოსახლეობა, ძირითადად, ქართველებისა და სომხებისგან შედგებოდა.

XII-XV საუკუნეების სომხური ხელნაწერებიდან ირკვევა, რომ სომხები მტკიცედ ინარჩუნებდნენ საკუთარ იდენტობას, თუმცა, ამავე დროს, თავს მიიჩნევდნენ საქართველოს მოქალაქეებად. მათი ანდერძ-მინაწერები გამოკვეთილად ადამიანური, ემოციური და ისტორიულად სანდოა, სახელმწიფო იდეოლოგიით ნაკარნახევი წყაროებისგან განსხვავებით. რუსეთის იმპერიის, საბჭოთა პერიოდისა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაშიც კი ეს ცნობები იგნორირებული იყო, რიგ შემთხვევაში კი არასწორად ინტერპერირებულიც. ზემოთ აღნიშნული წყაროები კი, ნარატიულ წყაროებთან შედარებით, დაცლილია ტენდენციურობისგან და უფრო სანდოა. სწორედ ეს წყაროები ასახავს საქართველოს ეთნიკური სომხების ისტორიას, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდნენ საკუთარ ეთნო-რელიგიურ იდენტობას და საქართველოს სახელმწიფოს ნაწილად და პასუხისმგებლიან მოქალაქეებად თვლიდნენ თავს. თბილისის სომხური თემი ქართველებთან ერთად ზეიმობდა ქვეყნის წარმატებას და გლოვობდა ქვეყნის ტრაგედიას, რაც განსაკუთრებული დრამატიზმით არის მოთხრობილი მათ ანდერძ-მინაწერებში.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თბილისის ისტორიის ყველაზე დრამატულ პერიოდებშიც კი, როგორიცაა ომიანობა, ქალაქის აოხრება თუ სხვადასხვა ეპიდემია, თბილისის სომხური თემი კვლავ აგრძელებდა მწიგნობრულ საქმიანობას და, მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა და მრავალი დაბრკოლებისა, მაინც ახერხებდა წიგნების დასრულებასა და გამრავლებას.

მე-15 საუკუნის პირველ ნახევარში დევნილობის გამო მოსული სომხების რამდენიმე ტალღამ უფრო გააძლიერა საქართველოს და, კონკრეტულად, თბილისის სომხური თემი.

XVII-XVIII საუკუნეების საბუთებში სომხური ტაძარი სურბ გევორგი ქართული სიწმინდეების გვერდით იხსენიება. ეს ნათლად ასახავს იმას, რომ თბილისის ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიან ურთიერთობებში თბილისელ ქართველებსა და სომხებს შორის რელიგიურ-კონფესიური სეგრეგაცია არ ხდებოდა.

ფრანგი მოგზაური ჟოზეფ ტურნეფორი კი აღწერს რელიგიური სინკრეტიზმის მაგალითებს: „მაჰმადიანები დახმარებისათვის ქართველ (ქრისტიან) წმინდანებს მიმართავდნენ, ქართველები სომეხ (მონოფიზიტ) წმინდანებს, ხოლო სომხები ზოგჯერ შველას მაჰმადიან წმინდანებსაც შესთხოვდნენ.“

სომხური თემი არა მხოლოდ მოქალაქეობრივი თუ საგანმანათლებლო საქმიანობით გამოირჩეოდა. თბილისელი სომხები იბრძოდნენ და იღუპებოდნენ კრწანისის ბრძოლაშიც 1795 წელს. განსაკუთრებული გმირობით თავი გამოიჩინა სომეხმა პრიმერ მაიორ გაბრიელმა, რომელიც ქართველ სეკონდ მაიორთან ერთად ბოლომდე ესროდა ზარბაზნებს სპარსელებს და ზარბაზნებთანვე ხელჩართულ ბრძოლაში დაიღუპა.

სურბ გევორგის ეკლესია

ბუნებრივია, რომ თბილისის ქალაქად ჩამოყალიბების შემდეგ ქალაქის სხვადასხვა ეთნო-კულტურულ და რელიგიურ თემებში საკუთარი სალოცავის არსებობის საჭიროებაც მალევე გაჩნდებოდა. თბილისის სომხური თემის შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ასეთი საკრებულო ტაძარი დღევანდელი სურბ გევორგის, ანუ, წმინდა გიორგის სომხური ეკლესია იყო.

წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ თავდაპირველად ეკლესია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ყოფილა. მოგვიანებით კი წმინდა გიორგის სახელობის ტაძრად, „სურბ გევორგ“-ად იწოდა. გვიან შუასაუკუნეებში ეკლესია თბილისის ციხის კედელში მოექცა და „ციხის დიდი ეკლესია“, ასევე, მეიდნის „სურბ გევორგი“ ეწოდებოდა.

არსებობს ორი ძირითადი ვერსია ეკლესიის აშენების შესახებ. ერთი ვერსიის მიხედვით, ეკლესია 631 წელს აშენდა. ამაზე, შესაძლოა, ტაძრის არქიტექტურაც მიანიშნებდეს: ეკლესია მიეკუთვნება სომხეთში მე-7 საუკუნიდან გავრცელებული გუმბათიანი დარბაზის ტიპს, რომლის გუმბათი ოთხ მყარ საბჯენზე დგას. ეკლესიის შიგნით, დასავლეთ ნაწილში, აღმოჩენილია მიწაში ჩადგმული ქვევრი და თონე. სავარაუდოა, რომ აქ თავდაპირველად საცხოვრებელი სახლი იყო, რომლის ადგილზეც შემდეგ ეკლესია აიგო.

მეორე ვერსიით, ტაძარი 1251 წელს ააშენა მდიდარმა სომეხმა ვაჭარმა უმექმა, რომელიც საქართველოს მეფესთან დაახლოებული პირი იყო. 1241 წელს ის თბილისში გადმოსახლდა. აქ ის იმდენად განდიდებულა, რომ საქართველოს მეფის, დავით ულუს „მამადაც“ კი იწოდებოდა. აქედან ჩანს, თუ რამდენად სწყალობდნენ თბილისში დამკვიდრებულ სომეხ დიდვაჭარს საქართველოს სამეფო კარზე. 1251 წელს უმექმა ააშენა (ან, საფუძვლიანად გადააკეთა) წმ. გიორგის ეკლესია, იგივე სურბ გევორგის ეკლესია. აღსანიშნავია, რომ ეკლესიას დასავლეთის შესასვლელის თავზე ჰქონია სომხური ქვაჯვარი, რომელზეც ეკლესიის სამშენებლო წარწერა შესრულებული იყო არა სომხურად, ან ქართულად, არამედ არაბულად (როგორც ჩანს, ყველასთვის გასაგები რომ ყოფილიყო, წარწერა შეასრულეს თბილისის ყველაზე „საერთაშორისო“ ენაზე).

უმექის მემკვიდრე ვახტანგიც დიდ ყურადღებას იჩენდა სურბ გევორგის მიმართ. 1284 წელს, ვახტანგის თხოვნით, თბილისს ეწვია ცნობილი სომეხი მეცნიერი, ასტროლოგი, ფილოსოფოსი და პოეტი ჰოვანეს ერზინკაელი, რომელიც ვახტანგს ბავშვობიდან იცნობდა. თბილისის სურბ გევორგის საკრებულო ეკლესიაში მან საჯაროდ ისაუბრა კოსმიურ-

ასტროლოგიური საკითხების შესახებ. ლექციას ისეთი მოწონება დაუმსახურებია, რომ ვახტანგმა თვითონ ჰოვანესს სთხოვა დაეწერა მისი წამოთქმული სიტყვა. წინასიტყვაობაში ჰოვანესმა კი აღნიშნა, რომ ეს ეკლესია სწორედ უმექის მიერ იყო აგებული.

XIII-XV საუკუნეებში სურბ გევორგი კულტურულ და მწიგნობრულ ცენტრად გადაიქცა. აქ შეიქმნა ათობით სომხური ხელნაწერი. სწორედ თბილისელი სომეხების მიერ ამ მონასტერში გადაწერილი ხელნაწერებიდან ირკვევა, რომ ეკლესია თავდაპირველად ღვთისმშობლის სახელობის ყოფილა. დაახლოებით 1452 წლისთვის მონასტერში წმ. გიორგის, ანუ სურბ გევორგის კულტიც გაჩნდა და ეკლესიაც ჰაღბატის, იგივე ახპატის (ცნობილი სომხური მონასტრის) დაქვემდებარებაში მოექცა. ამ პერიოდიდან მონასტერში გადაწერილ ხელნაწერებზე ჩნდება ცნობა, რომ წიგნები გადაიწერა „წმინდა ღვთისმშობლისა და მხედართმთავარ გიორგის კარზე."

აღსანიშნავია, ასევე, XV საუკუნეში მოღვაწე ხუცესი ჰოვანესი, რომელმაც არა მხოლოდ სომხური, არამედ ქართული ენაც სრულყოფილად იცოდა. დავით გარეჯში მას დატოვებული აქვს წარწერები ორივე ენაზე. ჰოვანეს ხუცესის მოღვაწეობა ნათლად ასახავს, რომ მიუხედავად სარწმუნოებრივ-კულტურული განსხვავებებისა და ეთნიკური კუთვნილებისა, თბილისის მოქალაქე სომხები სრულად იყვნენ ინტეგრირებული ქართულ სახელმწიფოში.

XV საუკუნის მეორე ნახევარში სურბ გევორგის ეკლესიას დასავლეთით სამრეკლოც დაემატა.

XVI-XVII საუკუნეებში შაჰ-აბასის ბრძანებით ეკლესია სომხებს ჩამოართვეს და სპარსულ გარნიზონს გადასცეს. სომხებმა ახალი ტაძარი ნორაშენი ააგეს. 1748 წელს ერეკლე II-მ სურბ გევორგი ისევ სომხებს დაუბრუნა. სავარაუდოდ, ამ პერიოდიდან, ნორაშენის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიისგან გასარჩევად, ძველ ეკლესიას სურბ გევორგი უწოდეს. ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ ერეკლე მეფე საქართველოში, და, კონკრეტულად, თბილისში მცხოვრებ სომხებს დიდ ყურადღებას აქცევდა.

ეკლესიის ისტორიაში ყველაზე დრამატული ეპიზოდი 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას მოხდა. ეკლესიას შეაფარა თავი მრავალმა სომეხმა, მათ შორის, ცნობილმა პოეტმა საიათნოვამ. სპარსელებმა რჯულის უარყოფა მოსთხოვეს. საიათნოვამ უარი განაცხადა და მოკლეს. „ჩიხმანამ ქლისადან, დონმანამ ისადან" - „ეკლესიის გარეთ არ გამოვალ, იესუს არ უარვყოფ." საიათნოვას გვამი ეკლესიის ჩრდილოეთის პატარა კარის წინ დაუკრძალავთ.

სომხური კულტურის ანარეკლი ენაში

სომხური თემის მრავალსაუკუნოვანი თბილისური ისტორია, მათი ბუნებრივი თანაარსებობა ეთნიკურად ქართველებთან, რასაკვირველია, ისტორიული წყაროების გარდა, აისახა ქართულ ენაშიც.

სომხური ენიდან ქართულში შემოსული სიტყვებია: ჭეშმარიტი, ჟამი, ამბოხი, ამბორი, ასპარეზი, ვეშაპი, ვაჭარი, სპასალარი, ლაპარაკი, ავაზაკი, აგარაკი.

საინტერესოა, რომ სომხური ენიდანაა შემოსული სიტყვა ვაჭარი და ლაპარაკი (ერთ-ერთი ვერსიით, სიტყვა „ბაზარიში" საუბრის აღსანიშნად გამოიყენებოდა სომხურ ენაში.).

თბილისის დიდი სინაგოგა (იად ლე-ზიქარონ)

„სინაგოგა“, ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს კრებას, შეკრებას კულტმსახურებისათვის. ებრაულად მას „ბეთ ჰაქნესეთ“, ანუ, „სახლი საკრებულო“ ჰქვია. ქართველი ებარელები სინაგოგის შენობას “ლოცვას“ უწოდებენ, რაც ზუსტად ასახავს მის შინაარსს.

„ახალციხელების ლოცვა“(ებრ. יסיליבט לש לודגה תסנכה תיב) – ასე უწოდებენ დღემდე ქართველი ებრაელები თბილისის დიდ (სეფარდების) სინაგოგას, რადგან ის აშენდა 1904-1911 წლებში ახალციხელი ებრაელების შემოწირულობებით, რომლებიც საქართველოში ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიიდან ჩამოსახლდნენ.

იმ დროს თბილისში უკვე იყო 6 სინაგოგა. მეშვიდე, თბილისის დიდი სინაგოგა, მდებარეობს ძველი ქალაქის მთავარ არტერიაში, ე.წ „სომხური ბაზრის“ არეალაში - დღევანდელი კოტე აფხაზის და თუმანიანის ქუჩებს შორის და წარმოადგენს ქართველ ებრაელთა თემის ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვან ძეგლს, რომელიც დღემდე ინარჩუნებს თავის სულიერ და არქიტექტურულ ღირებულებას. აქ პირველი ლოცვა ჩატარდა 1909 წელს, თუმცა, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე მოხატული და ავეჯით გაწყობილი. 1911 წლიდან ყოველდღიურად, შეფერხების გარეშე, წესისამებრ, დღეში ორჯერ აღესრულება ლოცვა. საგულისხმოა, რომ თბილისში დღეს მხოლოდ ორი სინაგოგა მოქმედებს, დანარჩენი დაიხურა.

თბილისის დიდი სინაგოგა სეფარდული არქიტექტურული სტილის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია. ხუროთმოძღვრული სტილის კლასიფიკაციით, „დიდი ლოცვა“ რომანულ სტილს განეკუთვნება - აღმოსავლურ-კლასიცისტური არქიტექტურა მისთვის დამახასიათებელი შეულესავი აგურის წყობითა და დეტალებით, ვერტიკალური პილასტრების და კარნიზების ერთიანი სტრუქტურით, ფასადის ცენტრში აგურის წყობით გამოყვანილი დიდი წრიული ღიობით და ფასადის ტრაპეციული დაგვირგვინებით, რომელსაც მაგენდავითის ფერადი ვიტრაჟი ამშვენებს. ამ აღწერით “ახალციხელების ლოცვა” თბილისის ძველი სინაგოგის იდენტურია

წითელი აგურით ნაგები გეგმით სწორკუთხა ორსართულიანი შენობა რთულ რელიეფზეა აშენებული, ამიტომ სინაგოგის მეორე სართული უკანა ფასადით გადის თუმანიანის ქუჩაზე. ნაგებობა, იუდაიზმის უძველესი ტრადიციით, ითვალისწინებს ქალთა გალერეის აქტიურ მხატვრულ გაფორმებას.

თბილისის ქართველ ებრაელთა სინაგოგა, „ახალციხელთა ლოცვა“, არის 1020 მ2-ის საერთო ფართობის, ებრაული დიასპორის საზოგადოებრივი ცხოვრების ტრადიციულ კომპლექსი, სადაც ორ სართულზე განლაგებულია სალოცავი სივრცეები - “დიდი ლოცვა” (მთავარი შენობა), “პატარა ლოცვა”; ასევე, მაცის საცხობი, ფრინველისა და პირუტყვის საკლავი, დაკლული ფრინველის საპუტი, მექვე (რიტუალური განბანვის ოთახი), სამეურნეო სათავსოები (ქაშერი ღვინის დასამზადებლად და სხვადასხვა დანიშნულებისათვის). სინაგოგაში ქალები კაცებისაგან განცალკევებით ლოცულობენ. სინაგოგის იმ ნაწილს, სადაც ქალები ლოცულობენ, „ქალთა გალერეა“, „აზარა“ ეწოდება და მას დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს გარედან.

სინაგოგის პირველი სართული ოთხ სტრუქტურულ ნაწილადაა დაყოფილი. წინა სივრცე ჰოლია, მარჯვნივ სალოცავის კანტორითა და მარცხნივ კი - სამმარშიანი კიბით, რომელიც მეორე სართულის სალოცავ დარბაზს უკავშირდება. დანარჩენ სამ სტრუქტურულ ნაწილს ორი თაღოვანი კონსტრუქციით სალოცავი დარბაზი აერთიანებს. თაღებს შორის, დარბაზის ცენტრში, აღმართულია თება, შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს კი, უკანა განივი კედლის ცენტრში, განთავსებულია არონ-ჰაკოდეში. დარბაზის ფართობია 205მ2. თება და არონ-ჰაკოდეში ორივე დარბაზი ხისაა, რთული პროფილებითა და ორნამეტებით დამუშავებული. სკამების განივი განლაგება, როგორც ქვედა, ისე ზედა სალოცავ დარბაზში, ძირითადად, აშკენაზურ ტრადიციას შეესაბამება, განლაგებულია განივად. მეორე სართულზე თაღოვანი კონსტრუქცია შეცვლილია და მათი ბურჯების გაგრძელებაზე აღმართულია ორ-ორი წყვილი სვეტი, რომლებსაც ეყრდნობა ანტრესოლის სართული – ქალთა გალერეა.

არქიტექტურული თავისებურებები

შოთა ბოსტანაშვილი აღწერს თბილისის ქართველ ებრაელთა სინაგოგას "დიდ ლოცვას", რომელიც იუდეველთა ტრადიციის მიხედვით, იერუსალიმისკენ (სამხრეთისკენ) არის ორიენტირებული გრძივი ღერძით (შემოსასვლელიდან წმინდა კარადის მიმართულებით). შენობა გეგმაში სწორკუთხედია, ორ სართულიანია, მეორე სართული ორ სინათლიანია. მთავარი ფასადის სიმაღლე 18მ, უკანა ფასადის კი 13მ-ია. ნაშენებია წითელი აგურით.

- **ფასადი** – სინაგოგის ექსტერიერი ქართული აგურის სტილშია, თუმცა მასზე აღმოსავლური და ევროპული ელემენტებიც შეინიშნება.
- **თაღოვანი ფანჯრები** – ეს ელემენტი დამახასიათებელია სეფარდული სინაგოგებისთვის, რაც სინათლის ბუნებრივად შეღწევის საშუალებას იძლევა.
- **ორმაგი დარბაზი** – მთავარი სალოცავი დარბაზი საკმაოდ ფართოა, მასზე მაღლა განლაგებულია გალერეა, სადაც ქალები ლოცულობდნენ (რაც ტრადიციულია სეფარდულ სინაგოგებში).
- **ინტერიერის თავისებურებები:** ორივე დარბაზის ინტერიერი მოხატულია. ნახატის თემატიკა მცენარეული მოტივები, ორნამენტები და ორდერული ვარიაციებია. სჭარბობს მოყავისფრო და მოოქრული ზედაპირები, ცისფერისა და წითელის ნარევით. მთელ ამ ჰარმონიაში საინტერესო მხატვრული როლი აქვს შრიფტის პლასტიკას. ტესქტები კედლების მოხატულობასთან სინთეზშია გამოყენებული. თება და არონ-ჰაკოდეში ორივე დარბაზი ხისაა და გაფორმებულია რთული პროფილებით და ორნამენტული დამუშავებით. აღსანიშნავია ოსტატურად შესრულებული ჰეხალის ლურჯი ფარდა ოქროს ძაფით ნაქარგი ლომების გამოსახულებით.
- **ბიმა (ლოცვის ამაღლებული ადგილი)** – განლაგებულია დარბაზის ცენტრში, რაც სეფარდულ ტრადიციას შეესაბამება (აშკენაზურ სინაგოგებში იგი წინ არის მოთავსებული).
- **თორას სადგომი (არაკი)** – დეკორატიულად მორთული ნიშა, სადაც წმინდა გრაგნილები ინახება.
- **მეტალით მორთული ჭაღები და ხის ორნამენტები** – რაც ხაზს უსვამს ოსმალურ-აღმოსავლურ სტილს.

ისტორიული კონტექსტი: თბილისის ებრაული საზოგადოება ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ჩამოყალიბდა. შემორჩენილი ცნობების მიხედვით, თბილისში ებრაელები ქალაქის დაარსების პერიოდიდან დასახლდნენ. მათ სამოსახლო არეალს, ძირითადად, ქვემო კალა წარმოადგენდა. ამავე პერიოდში ებრაელებს კლდისუბანში სინაგოგაც ჰქონიათ, თუმცა, მას ჩვენამდე არ მოუღწევია. თბილისის ებრაული თემის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართული ქალაქის სავაჭრო, კულტურულ და სამოქალაქო ცხოვრებაში და უკვე შუა საუკუნეების ბოლოს ქალაქი კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ებრაულ კულტურულ ცენტრად იქცა. საქართველოში ბატონყმობის გაუქმებამ ხელი შეუწყო ქართველი ებრაელების ურბანიზაციას და თბილისში მათი თემის ჩამოყალიბებას.



1897 წლის ქართული გაზეთი

”ტფილისში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს განუზრახავთ ძველთაძველი სალოცავის მაგივრად, იერუსალიმის შესახვევში ააგონ ახალი დიდი სალოცავი. ამ საქმეს სათავეში უდგანან ებრაელთა რაბინი ლევინი და აბრამ გორელაშვილი და 3000 მანეთი უკვე შეუკრებიათ ამ საქმისათვის.”



1903 წლის 25 იანვარი

”დიდი ხანია, ტფილისის ეგრეთ წოდებულ ქართველთ ებრაელთ განიზრახეს საკუთარის სამლოცველოს (თორის) აგება ტფილისში, მაგრამ დღეს აქომამდე მართლა რომ ქართველური უთაობა აფერხებდა ამ საქმეს; ამ ცოტა ხნის განმავლობაში ქართულ ენაზედ მოლაპარაკე ებრაელებს მიუციათ თხოვნა გუბერნატორისათვის და უთხოვნიათ, რომ ნება დაგვრთეთ ჩვენს შორის შევაგროვოთ ფული საკუთარის თორის ასაგებადაო. გუბერნატორს ებრაელებისათვის ნება დაურთავს იმ პირობით, რომ ხელისმოწერა გაიმართოს მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში და ისიც ერთი წლის ვადით, ამასთანავე, გუბერნატორს დაუვალებია პოლიცმაისტერისათვის გამოუცხადოს ქართულად მოლაპარაკე ებრაელებს, რომ შემდეგში არ იწოდებოდნენ ქართველ ებრაელებად, არამედ იწოდებოდნენ ადგილობრივ ებრაელებათ”.

როგორც იმ დროინდელი პრესა იუწყება, ქართველ ებრაელებს სამლოცველოს დამთავრება ძალიან უჭირდათ.



1909 წელი

"ქართველ ებრაელთ თავიანთ სამლოცველოს დამთავრება ტფილისში ძალიან უჭირდებათ, რადგან ასეთ უზარმაზარ შენობას დიდი ფული უნდა. შენობა ლამაზი და საყურადღებოა, გარედან შენობა დაამთავრეს, მხოლოდ შინაგანი მოწყობილობა აკლია... უნდა ააგონ აგრეთვე სკოლის შენობაც, რისთვისაც ქართველი ებრაელნი თავიანთ მორჯულეთაგან მოელიან დახმარებას. ეს დიდი შენობა მთლად ქართველ ებრაელთა წვლილით არის ნაშენი. ევროპიდან ან რუსეთიდან მოსულ ებრაელებს ამათთან კავშირი და მისვლა-მოსვლა არა აქვთ. მოსულ ებრაელებს ტფილისში ორი სინაგოგა აქვთ, მაგრამ ქართველი ებრაელები მაინც საკუთარ სინაგოგას აგებენ". თუმცა, დიდი გაჭირვების, საკუთარი ფინანსებითა და ერთობლივი შრომით შეძლეს დაესრულებინათ, სალოცავად კეთილმოეწყოთ იგი.



გაზეთი "სინათლე", 1911 წელი

„...ისე დაამთავრეს, რომ დღეს შიგ ლოცვასაც ასრულებენ. შენობა არის ფართო, ვრცელი, მაღალი, სულ აგურით ნაშენი, ამოდენა შენობის აგებაში მათ სხვა რჯულისა არავინ დახმარებია, სულ თავიანთის შრომით და ღარიბის ჯიბით გააკეთეს იგი. ამისათვის მათ მეტად დიდი გაჭირვება გამოიარეს, მაგრამ როგორც იქნა დაამთავრეს."

მიუხედავად იმისა, რომ სინაგოგა აბანოთუბნის ზუსტად შუაგულში არ არის, ის მაინც ეკუთვნის ისტორიულად ებრაული თემით დასახლებულ უბანს და წარმოადგენს ამ ტოლერანტული გარემოს ნაწილს. სინაგოგის კომპლექსში შედიოდა თალმუდ–თორა (ებრაული სკოლა), რომელიც დღევანდელი პატარა ლოცვის მეორე სართულზე იყო განთავსებული. გასული საუკუნის 50-იან წლებში შენობის მეორე სართული ჩამოინგრა და აღარ აღუდგენიათ. ამავე პერიოდში ებრაული სკოლები აიკრძალა საბჭოეთში, მაგრამ ფარული ფორმით და პირადი რისკით ისინი ოჯახებში გადავიდნენ.

დიდი სინაგოგის ახლოს, კოტე აფხაზის ქუჩის დასაწყისში, ტყავის ჩიხში მეორე (მცირე) მოქმედი სინაგოგაა - ე.წ. ახალი ან რუსული სინაგოგა, რომელიც XIX საუკუნეში საქართველოში რუსეთიდან გადმოსახლებული აშკენაზი ებრაელების მიერ აშენდა. თუმცა, არსებობს ვერსია, რომ დღევანდელი აშკენაზების სინაგოგა თავდაპირველად ირანიდან და ქურთისტანიდან შემოსული ებრაელებისთვის 1910 წელს აშენდა. საბჭოთა პერიოდში ამ ებრაელების დიდი ნაწილის ისრაელში გადასახლების შემდეგ ეს სინაგოგა აშკენაზ ებრაელების ხელში გადავიდა. თბილისში, ანტონ კათალიკოსის ქუჩაზე, მესამე სინაგოგაცაა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში აიგო. მასში 1932 წლიდან მოყოლებული საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმია განთავსებული.

როგორ ცხოვრობდნენ ებრაელები თბილისში საუკუნეების განმავლობაში?

ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე მულტიკულტურულ საქართველოში ებრაული დიასპორა ერთ-ერთი უძველესია - ძველი ქართული საისტორიო წყაროების თანახმად, მაშინ, როცა ბაბილონის მეფემ, ნაბუქოდონოსორმა (ნაბუქო) იერუსალიმი აიღო და პირველი ტაძარი დაანგრია (ძვ. წ. 586 წ), იეჰუდას სახელმწიფოდან ებრაელების ერთი ნაწილი აყრილა და საქართველომდე მოუღწევიათ. ებრაელთა მეორე ნაკადი საქართველოში ახ. წ. 1 საუკუნეში (ახ. წ. 70 წ.) გამოჩდნენ. ებრაელები საქართველოში მე-5 და მე-10 საუკუნეშიც გადმოსახლებულან. ჩვენთან არსებული ებრაული სალოცავების ისტორია პირველი სინაგოგების თანადროულია და 26 საუკუნეს ითვლის.

ისტორიული წყაროების თანახმად, ებრაელები საქართველოში ანტიკური ხანიდან ცხოვრობენ, ხოლო თბილისში, სავარაუდოდ, ქალაქის დაარსებისთანავე დასახლდნენ. თბილისში მათი დასახლება განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა შუა საუკუნეებიდან მოყოლებული. იუდეველებმა საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს თბილისის ცხოვრებაში და მათი ყოფნა ქალაქში მდიდარ და ძველ ისტორიას წარმოადგენს.

თბილისის ებრაელები ტრადიციულად იყვნენ დაკავებული ხელოსნობით, ვაჭრობითა და ფინანსებით. მიუხედავად პერიოდული სიძნელეებისა და დევნისა, განსაკუთრებით შუა საუკუნეების ბოლო ხანებში, როდესაც რეგიონში ხელისუფლება ხშირად იცვლებოდა, ებრაულმა თემმა შეძლო რწმენის, ჩვეულებებისა და სხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებთან ურთიერთთანამშრომლობის შენარჩუნება.

XIX საუკუნის დამდეგს თურქეთიდან არამეელი ებრაელები (ლახლუხები) შემოსულან. ამავე პერიოდში შემოვიდნენ ებრაელები ერაყიდან და ირანიდან. როგორც წესი, ებრაელები ცდილობდნენ იქ, სადაც დაფუძდნებოდნენ, სინაგოგა აეშენებინათ და ებრაული დასახლებები შეექმნათ. ასე იყო თბილისის შემთხვევაშიც. ქართველი ებრაელებისა და აშკენაზი (საქართველოში რუსეთიდან გადმოსახლებული) ებრაელების თემის ცხოვრება ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, თითოეულ ეთნოლინგვისტურ ჯგუფს გააჩნდა თავისი ფასეულობები. რელიგიურ რიტუალებში, წეს-ჩვეულებებში, ყოფა ცხოვრების წესებში განსხვავებამ, საერთო ენის უქონლობამ და სხვადასხვა კულტურული დონის არსებობამ საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა გამოიწვია ქართველ ებრაელთა და აშკენაზთა თემებს შორის. მათი დაახლოება მძიმედ და ხანგრძლივად ხდებოდა.

თავდაპირველად ქართველ ებრაელებში ღვთისმსახურება და რელიგიური რიტუალების ჩატარება ხახამს ჰქონდა დავალებული, მეტრიკული ჩანაწერების წარმოება კი ახალციხის

რაბინს ევალებოდა. 1892 წლიდან ქართველი ებრაელების თანხმობით რელიგიური რიტუალების ჩატარება და მეტრიკული საქმის წარმოება დაევალა აშკენაზთა თბილისის რაბინს სიმხე კარაშს. იგი ქალაქის მმართველობამ თბილისის ყველა ებრაელის მთავარ რაბინად აღიარა. რამდენიმე წლის შემდეგ წარმოიშვა გაუგებრობა ქართველ ებრაელებსა და აშკენაზების რაბინს შორის, პრობლემის მოგვარების მიზნით ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქართველ ებრაელებს უფლება მისცა თავისი მთავარი რაბინი ჰყოლოდათ. თბილისი მრავლდება ახალციხიდან გადმოსული ებრაელების ხარჯზე. მრევლის გაზრდის და „ბენთუნაანთ დარბაზის“ შენობის ავარიულობის გამო თბილისელმა ქართველმა ებრაელებმა სინაგოგასთვის ახალი შენობის აგება გადაწყვიტეს.

თბილისში ებრაელები, ძირითადად, ცხოვრობდნენ ე.წ. ებრაულ კვარტალში — ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მათ შეეძლოთ შეენარჩუნებინათ თავიანთი რელიგიური და კულტურული იდენტობა. აქ ებრაელები იცავდნენ იუდაიზმის კანონებსა და ტრადიციებს, რაც მათ საშუალებას აძლევდა, კოლექტიური თვითმყოფადობა შეენარჩუნებინათ. ებრაული საზოგადოება მრავალფეროვანი იყო: აქ ცხოვრობდნენ როგორც მთიანეთის ებრაელები, რომლებიც თანამედროვე ირანის ტერიტორიიდან (ყოფილი სპარსეთი) იყვნენ ჩამოსულები და საუბრობდნენ თათრულად, ასევე აშკენაზები — ევროპიდან ემიგრირებული ებრაელები, რომლებიც იდიშზე ლაპარაკობდნენ.

საბჭოთა პერიოდში ებრაელთა რელიგიური ცხოვრება იზღუდებოდა, თუმცა, მათი იდენტობა მაინც შენარჩუნდა. 1970-1980-იან წლებში ბევრი ებრაელი ისრაელში, აშშ-სა და სხვა ქვეყანაში ემიგრაციაში წავიდა; თუმცა, თბილისში ებრაული თემი კვლავ აქტიურია.

როგორ იმოქმედა ებრაულმა თემმა ქალაქის განვითარებაზე?

ებრაულმა თემმა დიდი წვლილი შეიტანა თბილისის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული ვაჭრობაში და მნიშვნელოვნად უწყობდნენ ხელს ქალაქის ეკონომიკურ სტაბილურობას. ასევე, მათ დიდი როლი ჰქონდათ ხელოსნობაში, ფინანსურ საქმიანობასა და კავკასიასთან დაკავშირებულ სავაჭრო ურთიერთობებში, განსაკუთრებით, რუსეთის იმპერიის პერიოდიდან მოყოლებული. ებრაელები ხშირად თამაშობდნენ შუამავლების როლს სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის.

ებრაული საზოგადოება აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის კულტურულ განვითარებაში. ებრაული სკოლები და რელიგიური დაწესებულებები მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრები იყო, სადაც ებრაელი ახალგაზრდები იღებდნენ განათლებას. თბილისში ფუნქციონირებდა სინაგოგები, ებრაული საავადმყოფოები და საქველმოქმედო ორგანიზაციები, რაც ამყარებდნენ თემის სოციალურ სტრუქტურას.

ებრაული კულტურული ტრადიციები გავლენას ახდენდა ხელოვნებასა და მუსიკაზეც. თბილისი იქცა ებრაული კულტურის მნიშვნელოვან კერად, სადაც ჩამოყალიბდა მუსიკალური და ლიტერატურული ტრადიციები, რომელიც ადგილობრივ ქართულ კულტურულ კონტექსტთან იყო შერწყმული.

ამგვარად, ებრაული საზოგადოება მრავალმხრივად იყო ჩართული თბილისის ცხოვრებაში ეკონომიკური, კულტურული და საზოგადოებრივი თვალსაზრისით და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალაქის უნიკალური კულტურული ლანდშაფტის ფორმირებაში.

ქარვასლები თბილისში

თბილისი, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო გზაჯვარედინი, საუკუნეების განმავლობაში რეგიონისთვის გადამწყვეტ როლს თამაშობდა. გასაკვირი არ არის, რომ თბილისის ბევრი ქუჩა და ცალკეული შენობა ძველად ვაჭრობისთვის იყო განკუთვნილი. სწორედ ამ ფუნქციის შედეგი იყო ქარვასლების – სავაჭრო-სასტუმრო კომპლექსების – გამოჩენა ქალაქში.

ტერმინის წარმოშობა და ადრეული ფორმები

სიტყვა „ქარვასლა“ მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან „ქარავანსარა“ (ან, ქარავანსარაი), რაც ნიშნავს „გზისპირა სასტუმროს“ – ადგილს, სადაც მოგზაურებსა და ვაჭრებს ღამის გათევა და დასვენება შეეძლოთ. თურქული ენებში ეს სიტყვა „ქარავნის სახლს“ ნიშნავს - დიდ სახალხო დაწესებულება აზიის ქალაქებში, რომელიც გზებზე და დაუსახლებელ ადგილებში მოგზაურთა, სავაჭრო ქარავნების ღამის გასათევი და გასაჩერებელი ადგილის ფუნქციას ასრულებდა. თბილისში ქარვასლების გამოჩენა აზიური კულტურის გავლენით მოხდა და თბილისურმა ქარვასლებმა საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა დედაქალაქის ისტორიაში. დღემდე შემორჩენილი ქარვასლების უმეტესობა მე-19 საუკუნეში არის აგებული და სტრუქტურულად ერთმანეთს ჰგავს. საქართველოში შუა საუკუნეებში „ქარვასლის“ ნაცვლად ტერმინი „ფუნდუკი“ იხმარებოდა, თუმცა XVII-XVIII საუკუნეებიდან სიტყვა „ქარვასლა“ გავრცელდა და დამკვიდრდა.

ქარვასლები შუა საუკუნეების თბილისში

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, თბილისში უკვე ოთხი ქარვასლა არსებობდა, რომელთა-გან სამი კალას უბანში იყო: „თბილელის ქარვასლა“, აგებული როსტომ მეფის მიერ სიონის სამხრეთით, მტკვრის სანაპიროზე. მის ნანგრევებზე XIX საუკუნეში „არწრუნის ქარვასლა“ აშენდა. ამ ქარვასლის სამხრეთ-დასავლეთით „მელიქის ქარვასლა“ მდებარეობდა. სიონის მოპირდაპირედ „მეფის ქარვასლა“ იყო. მეოთხე, „ბეჟანის ქარვასლა“, კალას კედლების გარეთ, სოლოლაკის უბანში იდგა, სადაც დღეს ქალაქის საკრებულოა.

ამ ქარვასლების მფლობელები, ძირითადად, იყვნენ: მეფე, ეკლესია, თავადაზნაურობა და ვაჭრები. ქარვასლები ფეოდალური ეპოქის ეკონომიკური ცხოვრებისა და საკუთრების სისტემის ამსახველად ითვლება.

ქარვასლების არქიტექტურა და ფუნქცია

XVIII საუკუნის ბოლოს ქარვასლების რაოდენობა თბილისში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ქარვასლების ძირითადი მახასიათებლები იყო: ორიდან ოთხსართულიანი, მომრგვალებული არქიტექტურული ფორმებით, შადრევნიანი შიდა ეზოებით, სარდაფებით, საწყობებით, დუქნებით, სახელოსნოებით, სასტუმრო ოთახებითა და ფართო დარბაზებით, სადაც საპატიო სტუმრებს მასპინძლობდნენ.

ზოგჯერ, ღია ეზოს ნაცვლად, შენობის შუაგულში დიდი დარბაზი (ვესტიბული) იყო, რომლის ირგვლივ იარუსებად ოთახები იყო განლაგებული. ვესტიბული ზემოდან ნათდებოდა და სივრცეს მყუდრო ატმოსფეროს სძენდა.

თბილისის ქარვასლებში ინახებოდა და მერე მთელ სამხრეთ კავკასიაში ნაწილდებოდა უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი. აქვე ხდებოდა სავაჭრო გარიგებები. ამასთანავე, ქარვასლები მრავალნაირი ინფორმაციის ერთ-ერთი უმთავარესი წყაროც იყო, სადაც თბილისელები იგებდნენ არა მხოლოდ თავისი ქალაქის და სამხრეთ კავკასიის, არამედ შორეული უცხოეთის ახალ ამბებსაც.

XIX საუკუნე – ქარვასლების გაძლიერება

1843 წელს იაკობ ზუბალაშვილმა ააშენა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ქარვასლა, რომელშიც იყო: 10 სავაჭრო მაღაზია, მრავალი საწყობი და ღვინის სარდაფი, 71 სასტუმრო ოთახი.

1847 წელს დაიწყო თამამშევის ქარვასლა-თეატრის მშენებლობა, რომელიც იმ დროის თბილისის, და არა მხოლოდ, ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი კომპლექსი იყო.

1850 წლისთვის თბილისში უკვე ცამეტი ქარვასლა არსებობდა, რომელთა უმეტესობა სიონის ქუჩაზე იყო განლაგებული. უნდა აღინიშნოს, რომ 1795 წელს ეს უბანი მნიშვნელოვნად დააზარალა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ, რის შედეგადაც მრავალი ქარვასლა განადგურდა, თუმცა, XIX საუკუნეში კვლავ განახლდა მათი მშენებლობა.

1850 წლის ქალაქის გეგმაზე მითითებულია: 12 ქარვასლა, 44 საწყობი, 188 სავაჭრო ობიექტი.

ქარვასლებში ყველა ქონება დანომრილი იყო და მფლობელების ვინაობა ფართოდ იყო ცნობილი. ქარვასლებს ერთმანეთისგან განსხვავებული სპეციფიკა ჰქონდა – თითოეულში განსხვავებული პროდუქცია იყიდებოდა როგორც საცალო, ისე საბითუმო ფასებში.

ევროპული გავლენა და მაღაზიების გამოჩენა

XIX საუკუნეში ქარვასლებთან ერთად ევროპული ტიპის მაღაზიებიც გამოჩნდა. ერთ-ერთი პირველი ცნობილი მაღაზია იყო ქალბატონი ლაბიელის მაღაზია, რომელიც ფრანგული მოდური ნაწარმით ვაჭრობდა და საკონდიტერო ნაწილსაც მოიცავდა. მოგვიანებით ის ბლოტის უნივერსალურმა მაღაზიამ შეცვალა, რომელიც იყო პირველი მსგავსი ტიპის მაღაზია თბილისში.

არქიტექტურა და დღევანდელი მდგომარეობა

დღემდე შემორჩენილი ქარვასლების უმეტესობა XIX საუკუნეშია აგებული. მათთვის დამახასიათებელია: მართკუთხა შიდა ეზო, ყველა მხრიდან აივნებით გარშემორტყმული არქიტექტურა (ხის ან რკინის აივნები), დუქნები და სასტუმრო ოთახები, სტილისტურად მრავალფეროვანი ფასადები და ინტერიერები.

ქარვასლები დღესაც ასახავენ იმ რთულ სოციალურ და ეკონომიკურ ქსელს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში განსაზღვრავდა თბილისის, როგორც აღმოსავლურ-დასავლური გზაჯვარედინის მნიშვნელობას.

თბილელის, იგივე არწრუნის ქარვასლა

1650 წელს მეფე როსტომმა სიონის ტაძრის სამხრეთით ააგო ქარვასლა, რომელსაც მოგვიანებით თბილელის ქარვასლა ეწოდა. ეს ნაგებობა იმ დროისთვის თბილისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სასტუმრო დაწესებულება იყო. 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას, ქარვასლა მთლიანად განადგურდა.

1818 წელს თბილელის ქარვასლის ნანგრევების ადგილზე ახალ ქარვასლას სომეხი ქველმოქმედი გევორქ აღა არწრუნი აშენებს, რომელიც XIX საუკუნეში არწრუნის ქარვასლის სახელით გახდა ცნობილი. შენობას სანაპიროსკენ კლასიცისტური სტილის ფასადი ჰქონდა (1820წ.), ხოლო სიონის ქუჩის მხარეს — მოდერნის სტილის (1912წ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი სართულის სარდაფის კამაროვანი გადახურვა, რომელიც როსტომ მეფის დროიდან იყო შემორჩენილი და დღემდეა შენახული. ქარვასლამ თავისი პირვანდელი ფუნქცია 1920-იან წლებამდე შეინარჩუნა.

თეკლე ბატონიშვილის ქარვასლა (მეფის ფუნდუკი)

XVII საუკუნეში, სიონის ტაძრის დასავლეთით, აშენდა მეფის ფუნდუკი, რომელიც წყაროებში პირველად 1672 წელს მოიხსენიება. ქარვასლა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას განადგურდა. XVIII საუკუნის ბოლოს ის აღადგინა და თავის საკუთრებად აქცია ერეკლე II-ის ქალიშვილმა, თეკლე ბატონიშვილმა, რის შემდეგაც ქარვასლამ მისი სახელი მიიღო.

სამსართულიანი შენობა, ორსართულიანი ფრონტით კოტე აფხაზის ქუჩის მხრიდან, არქიტექტურულად აერთიანებს ევროპულ-მავრიტანულ, კლასიცისტურ და ისლამურ ელემენტებს. ქარვასლაში იყო 62 ოთახი, 30 დუქანი და სახელოსნოები, ასევე შიდა ეზო. დღეს შენობა საქართველოს საპატრიარქოს ეკუთვნის და მასში სასულიერო სემინარია და აკადემია ფუნქციონირებს. (მდებარეობა: სიონის ქ. N13/40)

მელიქის ქარვასლა

ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის რუკაზე მელიქის ქარვასლა არწრუნის და მეფის ქარვასლებთან ერთადაა აღნიშნული. იგი სამკუთხა მოხაზულობის იყო და სიონის ქუჩაზე ვიწრო პირით გამოდიოდა. სამხრეთით ის ბამბის რიგს ესაზღვრებოდა.

მელიქები (არაბ. მეფე, გამგებელი) წარმოშობით სომხები იყვნენ, რომლებიც საქართველოში ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დასახლდნენ. XVIII საუკუნეში ჯერ აზნაურობა მიიღეს, შემდეგ კი ერეკლე II-მ თავადობა უბოძა. მათი წოდება იყო მელიქი, 1724 წლიდან კი მამასახლისობაც დაემატათ და იწოდებოდნენ როგორც მელიქ-მამასახლისები. სწორედ ისინი გახდნენ ბებუთაშვილების გვარის ფუძემდებლები. მელიქებს XVIII საუკუნის დასაწყისში სიონის ქუჩაზე ქარვასლა უკვე ჰქონდათ, რადგან ის ვახუშტის 1735 წლის გეგმაზე აღნიშნულია არწრუნის ქარვასლის გვერდით. ქარვასლა დღევანდელ ბამბის რიგის დასაწყისში მდებარეობს. (მდებარეობა: სიონის ქუჩის დასაწყისში, ბამბის რიგსა და არწრუნის ქარვასლას შორის)

მანთაშევის ქარვასლა

1904 წელს, მელიქის ქარვასლის ადგილზე, სომეხი მეწარმის და ქველმოქმედის ალექსანდრე მანთაშევის დაკვეთით ახალი სავაჭრო კომპლექსი აშენდა, ე.წ. მანთაშევის რიგები. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ღაზარ სარქისიანი. შენობა მდებარეობს ბამბის რიგში და დღემდე შენარჩუნებულია. დღეს ის მეიდან ჯგუფს ეკუთვნის.

ხოჯაპორუხოვისა და მაისურაძის ქარვასლა

ეს მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო შენობა წლების მანძილზე სადაო, ხელიდან ხელში გადასული და ამიერკავკასიაში ყველაზე „ნატანჯი“ ნაგებობაა. ის აშენდა 1893-95 წლებში და საინტერესოა არქიტექტურული თვალსაზრისით: შიდა სივრცე ხის კონსტრუქციებით და მდიდარი ორნამენტებითაა გაფორმებული.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან შენობამ ფუნქცია დაკარგა. მომდევნო ათწლეულებში აქ განთავსებული იყო მილიცია, სპორტკომიტეტი და სხვა უწყებები. 1991 წელს ქარვასლას ჩაუტარდა რესტავრაცია. დღეს შენობაში სასტუმრო და რესტორანია. (მდებარეობა: კოტე აფხაზის ქუჩის დასაწყისში, ერეკლეს ქუჩის ჩასახვევთან.)

თამამშევის ქარვასლა (ერევნის მოედანი / თავისუფლების მოედანი)

თბილისის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ქარვასლა 1847-1851 წლებში გაბრიელ თამამშევის დაფინანსებით აშენდა იმ პირობით, რომ მეფისნაცვალი ვორონცოვი მას უსასყიდლოდ გადასცემდა მიწის ნაკვეთს. შენობა აკმაყოფილებდა თეატრის და სავაჭრო ფუნქციებს. არქიტექტორად მოწვეული იყო იტალიელი ჯოვანი სკუდიერი.

ოთხსართულიანი ნაგებობა მოიცავდა საცხოვრებელ ოთახებს, მაღაზიებს, ფულის გაცვლის პუნქტებსა და საწყობებს. ცენტრში განთავსებული იყო ოპერის თეატრი, რომელიც 700 მაყურებელს იტევდა. ეს იყო პირველი ოპერის თეატრი სამხრეთ კავკასიაში.

სამწუხაროდ, 1874 წელს ხანძარმა შენობა სრულად გაანადგურა. “დროებაში” გამოქვეყნებული განცხადება თბილისელებს ამცნობდა, რომ თამამშევის ქარვასლას ცეცხლი თავისით ან შემთხვევით არ გასჩენია. ზოგიერთმა გარემოებამ და მოწმეების ჩვენებამ დაარწმუნა გამომძიებელი, რომ ამ საქმეში ვაჭარი ი. ლაზარევი უნდა ყოფილიყო დამნაშავე.

1879 წელს ქარვასლა აღადგინეს, მაგრამ თეატრი აღარ ფუნქციონირებდა. შენობა საბოლოოდ 1934 წელს დაანგრიეს. დღეს მისგან შემორჩენილია მხოლოდ რკინის ორი დეკორატიული ელემენტი და ქვაფენილის ქვეშ დაფარული საძირკველი. (მდებარეობა: თავისუფლების მოედანი.)

კათოლიკები და ქართველები

ქრისტიანულ სამყაროში, ისევე როგორც სხვა რელიგიების შემთხვევაში, სხვადასხვა კონფესიების წარმოშობა, გაძლიერება და ერთმანეთთან ევქარისტიული კავშირის გაწყვეტა თითქმის ყოველთვის ემთხვეოდა ორ დაპირისპირებულ იმპერიას შორის მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირების დინამიკას.

1054 წლის დიდი საეკლესიო განხეთქილებაც (სქიზმა) რომისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებს, და შესაბამისად, აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიასა და დასავლეთ რომის იმპერიას შორის არსებული პოლიტიკური დაპირისპირების შედეგი იყო, რომელიც რამდენიმე საუკუნე მიმდინარეობდა. შედეგად, მე-11 საუკუნიდან აღმოსავლურ და დასავლურ ქრისტიანობას შორის დიდი უფსკრული გაჩნდა, რომელიც, სხვადასხვა მცდელობის მიუხედავად, დღესაც საკმაოდ ღრმაა და კვლავ ცივილიზაციურ დაპირისპირებებს უწყობს ფეხს.

თუმცა, სხვადასხვა პროპაგანდისტული მექანიზმის წყალობით, თანამედროვე საზოგადოებისათვის მეტწილად არ არის ცნობილი ის ახლო ურთიერთობები, რაც საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და რომის კათოლიკურ ეკლესიას შორის არსებობდა საუკუნეთა განმავლობაში. ისტორიული წყაროებიდან და სხვა წერილობითი ძეგლებიდან ირკვევა, რომ საქართველოსა და რომის ეკლესიებს შორის ურთიერთობა არ ყოფილა დამოკიდებული კოსტანტინოპოლის საპატრიარქოზე და გარკვეული რელიგიური უთანხმოებები და დაპირისპირებები ჩვენს შორის ძირითადად მე-17 საუკუნიდან იწყება, როცა კავკასიაში რუსეთის გავლენა იზრდება.

დიდ განხეთქილებამდე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ მე-9 საუკუნეში, როცა ეს რელიგიური დისპუტი უკვე გამწვავებული იყო და გარდაუვალ გაყოფამდე მწიფდებოდა, რომს მოსალოცად და სამოღვაწეოდ ესტუმრა წმ. ილარიონ ქართველი, რომელიც რომში 2 წელი ცხოვრობდა.

ქართველებისა და რომაელი ქრისტიანების ძირითადი გადაკვეთა ათონის მთაზე, იერუსალიმსა და ბოლოს თბილისში ხდებოდა.

ათონის ქართველთა მონასტერი ივირონი მე-10 საუკუნეში დაარსდა. ამ პერიოდში ათონზე მომრავლებულ ქართველ ბერებთან მეგობრობდნენ ათონის რომაელი ბერები. მოგვიანებით ექვთიმე მთაწმინდელმა (ივირონის დამაარსებელი იოანეს ძემ) მონასტერში შეიკედლა რომაელი ბერები და მათ ახალი მონასტრის დაარსებაშიც დაეხმარა. ექვთიმეს ცხოვრებაშივეა მოთხრობილი ათონზე მოღვაწე ქართველი ბერის გაბრიელისა და ბენედიქტელთა ორდენის ბერის ლეონ რომაელის დიდ მეგობრობაზე.

დიდი განხეთქილების თანამედროვე იყო უდიდესი ქართველი საეკლესიო მოღვაწე და რეფორმატორი გიორგი მთაწმინდელი. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის საიმპერატორო კართან დაახლოვებული პირი იყო, იგი დაუფარავად ავლენდა სიმპათიას რომის ეკლესიის მიმართ და იმპერატორის წინაშე ქომაგობდა მას, მიაჩნდა რა, რომ რომის ეკლესიას არ გადაუხვევია ჭეშმარიტი სარწმუნოების გზიდან. იგივე ჩანს მის თარგმანებშიც, სადაც სული წმინდის ძისგან გამომავლობის ტექსტებიც არის შეტანილი.

სწორედ სულიწმინდის გამომავლობის საკითხი (Filioque) არის მთავარი დოგმატური განსხვავება აღმოსავლურ და დასავლურ ქრისტიანობას შორის. საინტერესო ფაქტია, რომ გიორგი მთაწმინდელის ფუნდამენტური თარგმანებით საქართველოს ეკლესია დღემდე ხელმძღვანელობს, ხოლო იმ ძველ ხელნაწერებში, სადაც Filioque-ს ტექსტები იყო, მე-18-19 საუკუნეებში ხელით (რუსული ეკლესიის გავლენის პერიოდში) ჩასწორებულია კონსტანტინეპოლური ვერსიით.

ზოგადად, ათონის ქართველთა მონასტერი ერთგვარი ხიდი იყო ქართველ მართლმადიდებლებსა და რომის კათოლიკეთა შორის. ივირონის მონასტერში კათოლიკე ბერებიც (ძირითადად, იტალიელები და ბენედიქტელები) მოღვაწეობდნენ. სწორედ აქ ხდებოდა ცოდნის ურთიერთგაცვლა და სხვადასხვა ლიტერატურული ძეგლების თარგმნა ქართულად, ბერძნულად და ლათინურად. ქართველი და კათოლიკე ბერების ახლო ურთიერთობა აღიზიანებდა ბერძნულ სამღვდელოებას, რაც დიდ მტრობაშიც ვლინდებოდა.

მოგვიანებით, ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგად, ქართველებისა და ლათინების ურთიერთობის ძირითადი კვანძი იერუსალიმი გახდა. ანტისელჩუკური და საერთო ქრისტიანული ალიანსის ფარგლებში, საქართველოს სამეფო, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეშვეობით, მუდმივ კონტაქტში იყო იერუსალიმის ევროპელ რაინდთა სამეფოსთან. ქართველებსა და კათოლიკეებს შორის უახლოესი ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები სწორედ იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის ხელნაწერი წიგნებია, რომლის არშიებზეც შემორჩენილია იერუსალიმის ევროპული სამეფო ოჯახის წევრების, ევროპელი რაინდებისა და ტამპლიერების მოსახსენებელი მინაწერები. ამგვარად, საეკლესიო მსახურებისას იერუსალიმის ქართველი ბერები კათოლიკე პირებსაც იხსენიებდნენ.

იგივე ხდებოდა ანტიოქიასთან მდებარე შავი მთის ქართველთა მონასტერშიც, სადაც ქართველი და ევროპელი ბერები თანაცხოვრობდნენ და ინტენსიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდნენ.

ათონის, იერუსალიმის, პალესტინის, ანტიოქიის, კოსტანტინოპოლის, პეტრიწონისა და უცხოეთში მდებარე სხვა ქართულ სავანეებში კათოლიკეებთან არსებული მჭიდრო კავშირები და მშვიდობიანი თანაცხოვრება, ბუნებრივია, საქართველოს სახელმწიფოს სანქცირებული იყო. სწორედ ამ ურთიერთობის ბუნებრივი განვითარების შედეგი იყო კათოლიკე მისიონერების გამოჩენა და დამკვიდრება საქართველოს დედაქალაქ თბილისში.

მეფე რუსუდანის დროს პაპმა ონორიუს III-მ ელჩი გამოგზავნა საქართველოში. წერილებიდან ირკვევა, რომ პაპს მიმოწერა უნდა ჰქონოდა ლაშა-გიორგისთანაც. ამგვარად, მე-13 საუკუნის 20-იან წლებში რომის პაპს პირდაპირი (დოკუმენტურად დადასტურებული) კორესპონდენცია ჰქონდა საქართველოს მეფესთან.

მომდევნო პაპმა გრიგოლ IX-მ საქართველოში 1233 წელს ფრანცისკელი მისიონერები გამოგზავნა. სავარაუდოდ, სწორედ მათ, იაკობ დე რუსანოს ხელმძღვანელობით, დააარსეს თბილისში პირველი კათოლიკური მისია.

1240 წლისათვის თბილისში მინორიტების და დომინიკელების ორდენიც დაარსდა. ამ უკანასკნელებმა თბილისში წმ. მარტინის მონასტერიც ააშენეს. თბილისის ეს კათოლიკური მონასტერი რეგიონში ერთგვარი საბაზისო დაწესებულება იყო კათოლიკეთათვის.

რომის პაპებს მიმოწერა ჰქონდათ არა მხოლოდ ქართველ საერო ლიდერებთან, არამედ საეკლესიო პირებთანაც. ცნობილია რომის პაპ ნიკოლოზ IV-ს წერილი ქართლის კათალიკოს აბრაამისადმი, სადაც ის ძმად იხსენიებს კათალიკოსს და საერთო საქმის კეთებას უწონებს.

მიუხედავად მონღოლური უღელისა, თბილისში კათოლიკური მისიები ძლიერდებოდა. როგორც ჩანს, საქართველოს საერო და სასულიერო ლიდერები მონღოლების საპირწონედ სწორედ ევროპულ ინტერესებს აღვივებდნენ საქართველოში, რისთვისაც დიდად მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ ევროპიდან ჩამოსულ კათოლიკეებს. შედეგად, კათოლიკური მისიონი თბილისში ახალ ეტაპზე ავიდა. კერძოდ, 1318 წელს, გიორგი ბრწყინვალის მეფობისას, თბილისს ეწვივნენ დომინიკელი ბერები, რომელთა შორის იყო ფლორენციელი იოანე როგსანელი, უაღრესად განათლებული და შრომისმოყვარე ადამიანი. მას უსწავლია ქართული ენა, გაცნობია ქართულ ადათ-წესებს. მისი პიროვნული თვისებების

გამო, დიდი პატივისცემით სარგებლობდა როგორც ქართველებში, ასევე თბილისში მცხოვრებ არაქართველებშიც. იგი მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა და ქართულად თარგმნიდა დასავლურ ლიტერატურას.

მალევე, 1328 წელს რომის პაპმა იოვანე XXII-მ სმირნის (მცირე აზია) საეპისკოპოსო თბილისში გადმოიტანა, რადგან „დიდი და ხანგრძლივი გამოძიებით“ პაპი და მისი კარდინალები დარწმუნებულან, რომ „თბილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი ერით სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია.“ ამის შემდეგ, თბილისი კათოლიკე მისიონერების ერთ-ერთი სამოღვაწეო ასპარეზი გახდა. ბუნებრივია, ეს სწორედ გიორგი ბრწყინვალესთან შეთანხმებით მოხდებოდა. თბილისი ევროპელ ქრისტიანთათვის Tefelicensis ეპარქია გახდა, რომელსაც საკათედრო ტაძარი ჰქონდა ქვეყნის დედაქალაქში.

კათოლიკური მისიონის წარმატებები ბევრრამეში გამოიხატა. მათ შორის, გაკათოლიკებული თბილისელებით. ცნობილია, რომ 1320-იან წლებში კათოლიკობა მიიღო თბილისელმა ახალგაზრდამ, რომელსაც დიმიტრი ეწოდა. შემდეგ ის ინდოეთში წასულა საქადაგებლად, სადაც მოწამეობრივად აღესრულა და ღირსი დიმიტრი თბილელის სახელით დამკვიდრდა წმინდანთა დასში.

მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისი კვლავ მნიშვნელოვანი პუნქტი იყო აღმოსავლეთში მიმავალი მისიონერებისათვის, რომლებიც მათი მისიონისკენ მიმავალ გზაზე აუცილებლად უნდა გაჩერებულიყვნენ თბილისში. მართალია, თბილისის მძიმე ხვედრმა ძალიან დაასუსტა თბილისის კათოლიკური ეკლესია, ქალაქში მაინც ბევრი კათოლიკე ყოფილა. ამაზე 1475 წელს პირდაპირ წერს ვენეციელი დიპლომატი აბროჯო კონტარინი.

გართულებული გეო-პოლიტიკური მდგომარეობის გამო, თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო 1507 წელს გაუქმდა, თუმცა, კათოლიკური მისიონები თბილისში კვლავ იყო. თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო თითქმის 180 წლის განმავლობაში არსებობდა, რაც მნიშვნელოვნად აისახებოდა დედაქალაქის, და ზოგადად ქვეყნის განათლების, მედიცინის, დიპლომატიისა და სხვა დარგების განვითარების დონეზე.

ერთიანი საქართველოს დაშლისა და კავკასიაში რუსული გავლენების ზრდამ შედარებით უფრო გაართულა კათოლიკე მისიონერების მდგომარეობა საქართველოში. საქართველოს მეფეები აცნობიერებდნენ რა ქვეყნის დაღმასვლას გეოპოლიტიკური ცვლილებების შედეგად, მუდამ ცდილობდნენ კათოლიკე მისიონერებისათვის კარგი პირობების შექმნას, ვინაიდან ხედავდნენ მათ უპირატესობებს მედიცინასა და მეცნიერების სხვადასხვა დარგებში.

მე-17 საუკუნის 20-იან წლებში თბილისში გააქტიურდნენ „დე პროპაგანდა ფიდეს“ კათოლიკე მისიონერები. მათი მიდგომა უფრო ნოვატორული იყო და მიმართული იყო ქართულ-იტალიური წიგნების სტამბურ ბეჭდვასა და გავრცელებაზე. 1629 წელს დაიბეჭდა სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ირბახის (ირუბაქიძის) შედგენილი ქართული ანბანი ლოცვებითურთ და ქართულ-იტალიური ლექსიკონი.

თბილისელ კათოლიკეებს თვით როსტომ ხანიც დიდად სწყალობდა. სპარსეთისა და ევროპული ქვეყნების საერთო მტრად ძლევამოსილი ოსმალთა იმპერია მოიაზრებოდა, რის გამოც სპარსეთის შაჰი და მისი ქვეშევრდომები კათოლიკე მისიონერებთან აქტიურად თანამშრომლობდნენ. როსტომმა თბილისში ჩამოსულ კაპუცინელ ბერებს ორი სახლი უბოძა - ერთი საცხოვრებლად, მეორე კი ეკლესიის მოსაწყობად. მისიონერი კარლო მარია სენტ-მარენი 1667 წლის რელაციაში (ანგარიშში) წერდა, რომ თბილისში კათოლიკეთა სულ 8 ოჯახი იყო, თუმცა, მსახურებას უამრავი თბილისელი ესწრებოდა. მსგავსი ცნობა აქვს ჟან შარდენსაც, რომ თბილისის კაპუცინების ეკლესიაში მრავალი თბილისელი ესწრებოდა წირვას.

კაპუცინების ორდენი თბილისში გაძლიერდა. ორდენის პრეფექტს თბილისში ჰქონდა რეზიდენცია და ეკლესია. მათ, ასევე, გახსნეს სკოლა. კაპუცინების ორდენის მისია ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა თბილისში. მეფე ვახტანგ V (შაჰ-ნავაზი) მათ განსაკუთრებით მფარველობდა და უფლებას აძლევდა თავისუფლად ექადაგათ საკუთარი აღმსარებლობა ხალხისთვის. იმავეს აკეთებდა ვახტანგის ძე გიორგი XI. მოგზაური მისიონერი დიონიჯო კარლი 1681 წელს წერდა, რომ ქართველები კათოლიკეებისადმი დიდი თანაგრძნობით იყვნენ განწყობილნი, ხოლო მეფე გიორგი იტალიურსაც სწავლობდა. არსებობს ცნობაც, რომ 1687 წელს მეფე გიორგი კათოლიკედაც მოინათლა.

ბერნარდო ნეაპოლელის 1675 წლის რომში გაგზავნილი წერილიდან ამონარიდი: „ყველა მისიონიდან, რომელსაც პროპაგანდა აღმოსავლეთში გააჩნია, საქართველოს მისიონი ყველაზე უკეთესია, როგორც ღვთისმსახურების თავისუფლებით, ისე უხვი ნაყოფის მიღებით, ასევე ერითაც, რომელიც ყველაზე ცივილიზებულია, მაღალი დიდებულებით, მაღალი გონებითა და განსაკუთრებით განწყობილნი არიან, მიიღონ რწმენის კათოლიკური სიმართლე.“

თბილისელ კათოლიკეთა მდგომარეობა გართულდა მე-18 საუკუნეში, ჯერ ოსმალობის პერიოდში, ხოლო შემდეგ რუსეთის იმპერიისა და ეკლესიის გააქტიურების გამო, ვინაიდან არც ერთ იმპერიას არ სურდა ქართული სახელმწიფოს კავშირი ევროპულ სახელმწიფოებთან, რასაც სწორედ კათოლიკური ეკლესია უზრუნველყოფდა.

კათოლიკე მისიონერების ერთ-ერთი მთავარი ღირსება განათლების მაღალი დონე იყო, რასაც ისინი თბილისის მცხოვრებლებს უზიარებდნენ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისინი ანიჭებდნენ ქართველებისათვის უცხო ენების შესწავლას.

თბილისში, იქ, სადაც მთავარი კათოლიკური ეკლესია იყო, სახლობდნენ მისიონერი პატრებიც. ამის გამო ქალაქის ერთ-ერთ უბანს „ფრანგების უბანი“ ერქვა.

ქართველებისა და კათოლიკების ურთიერთობა ძალიან საინტერესო საკითხია. საზოგადოებაში გავრცელებული დომინანტური აზრის მიუხედავად, ჩვენი ისტორიული ურთიერთობები გაცილებით უფრო ახლო და მეგობრული იყო. მეტიც, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა კანონიკური თუ დოგმატური განსხვავებისა და საკამათო საკითხის მიუხედავად, ქართველ ქრისტიანებსა და რომაელ კათოლიკეთა შორის ევქარისტული კავშირიც იყო, რაც კიდევ უფრო ამარტივებდა მშვიდობიან თანაცხოვრებასა და უერთიერთანამშრომლობას.

ისტორიულად, როცა საგარეო პოლიტიკისა თუ ვექტორის არჩევანი დგებოდა, საქართველოს მმართველები სწორედ დასავლურ (ევროპულ) არჩევანს აკეთებდნენ. საქართველოსა და ევროპას შორის არსებული ხიდი კი სწორედ კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობაზე გადიოდა.

წმინდა მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარი

ძველი თბილისის უწყვეტი ურბანიზაციის გამო, დღეისათვის ვერ დგინდება თბილისის ძველი (მე-13 საუკუნის) კათოლიკური კათედრალის ზუსტი ადგილმდებარეობა. ადგილი, სადაც კათოლიკების დღევანდელი წმინდა მარიამის ზეცად აღყვანების სახელობის კათედრალი მდებარეობს, „პატრების უბნად“ იწოდებოდა. აქ ყოფილა ძველი მონასტერი, რომელიც 1795 წლის სპარსელების შემოსევისას დანგრეულა.

მონასტრის მოპირდაპირე მხარეს 1803 წლიდან დაიწყო ახალი კათედრალის მშენებლობა, რომლის მშენებლობაში ავსტრიის იმპერატორი ფრანც II-ც მონაწილეობდა. მშენებლობა 1808 წლამდე გაგრძელებულა. საზეიმო გახსნას საქართველოს კათალიკოსი, თბილელი მიტროპოლიტი და სომეხი ეპისკოპოსები დასწრებიან.

ამგვარად, ზუსტად ვერ ვიტყვით, აქ იდგა თუ არა თბილისის ძველი კათოლიკური კათედრალი ფიზიკურად, თუმცა, დღევანდელი კათედრალი იდეურად სწორედ ძველის მემკვიდრეა თბილისურ ცხოვრებაში.

ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების სახელობის ეკლესიის პატარა შენობის ექსტერიერი წითელი აგურით არის გაფორმებული და ჩუქურთმებითაა მორთული, ფანჯრებს კი ნათელი ვიტრაჟები აქვს. შენობის ინტერიერი ნათელი და მყუდროა, რაც ხელს უწყობს მლოცველთა სულიერ განწყობას. ეკლესიას აქვს ორღანი.

ნაგებობა აგებულია ფსევდოგოთური და ბაროკოული ელემენტებით, რაც იმ დროს პოპულარული იყო ევროპაში. მთავარი ფასადის ცენტრში, შესასვლელის ზემოთ, მაღალ ფანჯრებს შორის, რომელიც ულამაზესი ვიტრაჟებით არის მორთული, აღმართულია ღვთისმშობლის ქანდაკება მაცხოვარ იესოსთან ერთად ხელში. ეკლესიის კარი დამშვენებულია ბიბლიურ თემებზე შექმნილი გამოსახულებებით. შესასვლელის ორივე მხარეს განთავსებულია ულამაზესი ვიტრაჟები, რომელზეც გამოსახულია მთავარანგელოზები.

რაც შეეხება ტაძრის ინტერიერს, აქაც მრავალი რამ არის თვალშისაცემი: მაღალი, ნათელი ჭერი და კედლები მორთულია ლამაზად შემკული ხატებით და მოჩუქურთმებული თაღებით. საკურთხეველი შესანიშნავადაა მოხატული. აფსიდში ანგელოზებით გარემოცული ზეცად ამაღლებული ღვთისმშობელი და წმინდანებია გამოსახული. ტაძრის შიგნით ასევე, არის მრავალი უნიკალური ფრესკა, რომლებიც ასახავენ კათოლიკური ეკლესიის რელიგიურ თემატიკას. ინტერიერი ვიტრაჟებითა და წმინდანთა (მათ შორის წმ. იოსების, წმ. ტერეზა ლიზიელისა და წმ. ნინოს) ხის ქანდაკებებითაა მორთული. დღის სინათლეზე, ფერადი ვიტრაჟებიდან შემოსული განსაკუთრებულად რბილი განათების ფონზე, ეკლესიაში სიმშვიდე და სულიერი ამაღლება სუფევს.

გრძელი ჯაჭვების საშუალებით ჭერიდან ეშვება ორიარუსიანი, ძველ სტილში შექმნილი ჭაღები, რომელიც ტაძარს დიდებულ იერს სძენს. ჭერზე განთავსებულ 24 კესონზე (კვადრატული ჩაღრმავება თაღის შიგნითა ზედაპირზე) ღვთისმშობლის ლიტანიის ფრაზებია დატანილი. თბილისის კათოლიკური საკათედრო ტაძრის ჭერი ევანგელურ–ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსმა, რუსუდან გოცირიძემ მოხატა. ჭერის ახალი ორნამენტებით მოხატვა ტაძრის ხელახალი კურთხევის 25 წლის იუბილეს მიეძღვნა.

თავისუფლების მოედანი

თავისუფლების მოედანი თბილისში ერთ-ერთი უძველესი ცენტრალური სივრცეა. მას თითქმის ორასწლიანი ისტორია აქვს.

თავდაპირველად, ეს ტერიტორია ქალაქის ფარგლებს გარეთ მდებარე უკაცრიელი ადგილი იყო. ძველი თბილისის გალავანი დღევანდელი მოედნის აღმოსავლეთით გადიოდა და პუშკინის ქუჩის გასწვრივ ეშვებოდა. სწორედ იქ, სადაც კოტე აფხაზის ქუჩა მოედანს უერთდება, ქალაქის ერთ-ერთი მთავარი შესასვლელი იყო – ე.წ. „კოჯრის კარი“.

XIX საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი, პლატონ იოსელიანი აღნიშნავს, რომ დღევანდელი მოედნის ჩრდილოეთ ნაწილში (დაახლოებით იმ ადგილზე, სადაც ახლა ხელოვნების მუზეუმია), XVII საუკუნის მიწურულს არსებობდა მეფის ქარვასლა. ეს ქარვასლა საკმაოდ დიდი იყო და დაახლოებით 80 სადგომს მოიცავდა. იოსელიანისვე თქმით, 1724 წელს ქარვასლა თურქების შემოსევის შედეგად განადგურებულა.

მოედნის ინტენსიური განაშენიანება დაიწყო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში. ამ პერიოდში მოედანი თანდათან გარდაიქმნა და საუკუნის ბოლოსთვის მას უკვე ჩამოყალიბებული არქიტექტურული იერსახე ჰქონდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის 80-იან წლებამდე მოედანი სტილისტურად საკმაოდ ჭრელი და მრავალფეროვანი იყო.

თავდაპირველი შენობებიდან დღემდე შემორჩენილია 1824 წელს აშენებული კავკასიის არმიის საოლქო შტაბის შენობა, რომელიც რუსული კლასიციზმის არქიტექტურული ნიშნებით ხასიათდება. მოედნის მოპირდაპირე მხარეს, ძველი ქალაქის გალავნის გასწვრივ, თბილისის ტრადიციული არქიტექტურით, ერთი და ორსართულიანი სახლები აშენდა შეკიდული აივნებით, ორნამენტიანი მოაჯირებითა და ხის ფარდებით.

თბილისის საკრებულოს შენობა XIX საუკუნის 30-იან წლებში აშენდა და შემდგომში რამდენჯერმე გადაკეთდა. 1879 წლამდე მასში განთავსებული იყო ქალაქის უფროსი პოლიცმაისტერის კანცელარია და პოლიციის განყოფილება.

საბჭოთა პერიოდში, 1930-იან წლებში, მოედნის მასშტაბური რეკონსტრუქცია დაიწყო. ამ პერიოდის ურბანული ცვლილებების ერთ-ერთი ყველაზე დასანანი შედეგი იყო მოედანზე მდებარე მონუმენტური ქარვასლის დანგრევა, რაც ისტორიული მემკვიდრეობისთვის სერიოზული დანაკარგი აღმოჩნდა.

მოედნის სახელდება

საინტერესოა თავისუფლების მოედნის სახელწოდებათა ცვლილების ისტორია. ალბათ, ძნელად მოიძებნება სხვა მოედანი, რომელსაც თავისი არსებობის ორი საუკუნის მანძილზე სახელი 8-ჯერ შეცვლოდეს.

1801 წლამდე დღევანდელი მოედნის ტერიტორია ქალაქის გარეუბანს წარმოადგენდა და „გარეთუბანი“ ეწოდებოდა. შუაგულ მოედანზე სოლოლაკის ქედიდან სეზონური მდინარე ავანაანთხევი ჩამოდიოდა. ეს მდინარე კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის ბრძანებით 1840-იან წლებში აგურის კოლექტორით გადახურეს, გადახურული ადგილი მოასწორეს და მასზე, ვორონცოვისავე მითითებით, მთელს კავკასიაში პირველი ოპერა ააშენეს. ჯერ კიდევ ოპერის აშენებამდე, იქაურობას შეშის მოედანს ეძახდნენ. თუმცა, შეშის მოედანი არაოფიციალური სახელი იყო; უბრალოდ, ხალხი ეძახდა ასე.

ოფიციალურად კი პირველად სახელი მოედანს 1828 წელს მიანიჭეს. ამ წელს რუსეთის არმიამ კავკასიის მთავარმმართებლის, გენერალ პასკევიჩის მეთაურობით სპარსული გარნიზონისაგან გაათავისუფლა ქალაქი ერევანი. ამ გამარჯვების აღსანიშნავად თბილისში შტაბის მოედანს პასკევიჩ-ერევანსკის სახელი უწოდეს. თანდათან ხალხმა მიივიწყა პასკევიჩი და მოედანს მხოლოდ ერევნის მოედნად მოიხსენიებდნენ.

ასე გაგრძელდა 1917 წლამდე. ნიკოლოზ მეორის ჩამოგდების ამბის შეტყობისთანავე, ერევნის მოედანზე შეკრებილ რევოლუციური პარტიების ლიდერებს ერთობლივად გაუჩნდათ იდეა და თბილისის მთავარ მოედანს თავისუფლების მოედანი უწოდეს.

1922 წელს, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის აღსანიშნავად, კომუნისტებმა ახალი სახელი - "ზაკფედერაციის მოედანი" დაამკვიდრეს. შემდეგ კი მოხდა ის, რასაც ხრუშჩოვის პერიოდიდან კატეგორიულად აღარ ახსენებდნენ - 1940 წელს საქართველოს დედაქალაქის მთავარ მოედანს ლავრენტი ბერიას სახელი უწოდეს.

ბუნებრივია, 1953 წელს ბერიას დახვრეტის შემდეგ მოედანს სახელწოდება სასწრაფოდ შეუცვალეს და სწორედ მაშინ დაერქვა პროლეტარიატის ბელადის ვლადიმერ ლენინის სახელი. 1990 წლიდან კი მოედანმა თავისუფლების მოედნის სახელი დაიბრუნა.

მონუმენტები თავისუფლების მოედანზე

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის მთავარ მოედანს უდიდესი წვლილი აქვს რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ადამიანური და მატერიალური რესურსებით მომარაგების საქმეში. მოედნის ჩრდილოეთით მდებარე ყოფილი სასულიერო სემინარია (დღევანდელი ხელოვნების მუზეუმი) ბოლშევიკური პარტიის ნამდვილი სამჭედლო იყო.

სასულიერო სემინარიაში სწავლობდნენ: იოსებ ჯუღაშვილი, ლადო კეცხოველი, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია.

ამავე მოედანზე 1907 წლის თავზეხელაღებული ძარცვის დროს იოსებ ჯუღაშვილის ორგანიზებით ბანდიტმა რევოლუციონერმა კამომ 250 ათასი რუსული რუბლი გაიტაცა და ეს თანხა პირადად ვლადიმერ ულიანოვს (ლენინს) ჩაუტანა. "კამომ ლენინს დღევანდელი გათვლებით 1.7 მილიონი ფუნტის ეკვივალენტი თანხა ჩაუტანა, რაც საკმარისი იყო პარტიის დასაფინანსებლად გარკვეული დროის განმავლობაში". ამ ძარცვამ აამაღლა ქართველი ბოლშევიკების იმიჯი პარტიის რიგებში. განსაკუთრებით გამყარდა იოსებ ჯუღაშვილისა და მისი თავზეხელაღებული თანამებრძოლის, კამოს პოზიციები.

1922 წელს გარდაცვლილი კამო 17 ივნისს თავისუფლების მოედანზე მდებარე პუშკინის სკვერში დაკრძალეს. ზუსტად სამ წელიწადში მის საფლავზე ძეგლი გახსნეს (მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე). რამდენიმე წლის შემდეგ ძეგლი სტალინის ბრძანებით აიღეს.

კამოს ძეგლის მსგავსად, თავისუფლების მოედანზე არც სხვა ბოლშევიკურ ძეგლებს უმართლებდათ. 1934 წლის რამდენიმე გაზეთში გამოქვეყნებული ფოტო-ესკიზების თანახმად, იმავე წელს მოედანზე აღებული ძველი იტალიური ოპერის ადგილას უნდა აგებულიყო მარმარილოს ტრიბუნა და ტრიბუნის შუაგულში ლენინის ქანდაკება დაედგათ. ლენინის ძეგლი თავისუფლების მოედანზე მხოლოდ 1956 წელს აღმართეს.

(*ფოტოზე - „პროლეტარიატის დიდი ბელადის“ 7 მეტრიანი ქანდაკება (მოქანდაკე თოფუხიძე).*

1950-იან წლებში აღმართული ლენინის ქანდაკება 1990 წელს აიღეს. 2006 წლის 23 ნოემბრის შემდეგ ლენინის ადგილს მოედანზე მოქანდაკე ზურაბ წერეთლის წმინდა გიორგის 40 მეტრიანი მონუმენტი იკავებს.

ხელოსნური და სავაჭრო კულტურა ძველ თბილისში

ფეოდალური თბილისის ქუჩებსა და უბნებში განთავსებული იყო სხვადასხვა დარგის სახელოსნოები და სავაჭრო რიგები. ხშირად, სწორედ ამ დარგების ხასიათი განსაზღვრავდა კონკრეტული უბნის ან ქუჩის სახელწოდებასაც, რომელთა უმეტესობა სპარსული წარმოშობის იყო. მაგალითად, ბაზაზხანა, ლილახანა, სირაჯხანა და სხვ. ზოგ შემთხვევაში ქუჩის სახელწოდება განსაზღვრული იყო სახელოსნოებისა და სავაჭრო რიგების განლაგების წესითაც. ამის ნათელი მაგალითია სიტყვა “რასტაბაზარი”, რომელიც სპარსულში ნიშნავს ერთ ხაზზე განლაგებულ სავაჭრო დუქნებსა და სახელოსნოებს.

XIX საუკუნეში თბილისმა ხელოსნური წარმოების ახალ ეტაპზე გადაინაცვლა. ამ დროიდან ხელოსნობის განვითარებამ ფართო მასშტაბები შეიძინა. ხელოსნობაში გაჩნდა სასაქონლო წარმოება, რის შედეგადაც ხელოსანთა მნიშვნელოვანი ნაწილი წვრილ მწარმოებლად ჩამოყალიბდა. პარალელურად მიმდინარეობდა სახელოსნოების გაფართოებისა და გამსხვილების პროცესი. თუ საქართველოს სოფლებში ხელოსნობა, ძირითადად, სოფლის მეურნეობის დარგებს ემსახურებოდა, ქალაქებში, განსაკუთრებით კი თბილისში, ის დამოუკიდებელ დარგს წარმოადგენდა.

ხელოსანთა საქმიანობა ორგანიზებული იყო ამქრების სახით. ამქარი იყო ერთი ან მონათესავე დარგის ოსტატთა გაერთიანება, რომელსაც თავისი წესდება ჰქონდა. თბილისში ამქრებმა პროფესიული ორგანიზაციის ფორმა XVII საუკუნეში მიიღეს, თუმცა, ამქრის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა ხელოსანთა და ვაჭართა სხვადასხვა სახის გაერთიანებები. ამქრის გაჩენას ხელი შეუწყო ფეოდალური ეპოქის საზოგადოებრივ სტრუქტურაში დამკვიდრებულმა კორპორაციულმა ჯგუფებმა. სიტყვა “ამქარი” საქართველოში XIX საუკუნიდან გავრცელდა. მანამდე გამოიყენებოდა ტერმინები: ჯამაათი, ურთაღი, ოფიქალი, თაბუნი, ასნაფი. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან “ამქარი” ვრცელდება როგორც ხელოსანთა, ასევე ვაჭართა გაერთიანებებზე. ამავდროულად, ამქრები წარმოადგენდნენ ტერიტორიულ გაერთიანებებსაც. XVII-XVIII საუკუნეებში თითოეულ ამქარს ქალაქის კონკრეტული უბანი ეკავა, როგორიც იყო ზარაფხანა, სირაჯხანა, ფეიქართა ქუჩა, ოქრომჭედელთა ქუჩა და სხვა.

ამქარში გაწევრიანება ყველა ხელოსანს შეეძლო ეთნიკურობისა და სარწმუნოების მიუხედავად. როგორც წესი, თბილისში ამქრები დარგობრივი ნიშნით იყო შექმნილი, თუმცა, ხშირად ერთ ამქარში გაერთიანებული იყვნენ მომიჯნავე დარგების ოსტატებიც. ამასთანავე, არსებობდა ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბებული ამქრებიც. მაგალითად, მკალავები, ძირითადად, ლეკები იყვნენ, სპარსელ მეჩექმეებსა და თათარ კალატოზებს კი საკუთარი დამოუკიდებელი ამქრები ჰქონდათ.

თბილისური ამქრები აღმოსავლურ მოდელს ემყარებოდა, თუმცა, რელიგიური ფანატიზმით არ გამოირჩეოდა, რაც დამახასიათებელი იყო აღმოსავლური ხელოსნური ორგანიზაციებისთვის. ქართულ ამქრებს არც ევროპული კლასიციზმი ახასიათებდათ. ისინი თვითმყოფადობით გამოირჩეოდნენ. ამქრებს ჰქონდათ ქართულწარწერიანი დროშები, რომელიც მათი ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი იყო.

ძველ თბილისში სახელოსნოებში წარმოება ღია სივრცეში, გამვლელების თვალწინ ხდებოდა. ქალაქი დიდი ხელოსნური და სავაჭრო ცენტრი იყო, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიისთვის.

ამქრებს სათავეში ედგა უსტაბაში. ხელოსნები, ეთნოგრაფიული მონაცემებით, ყარაჩოხელები იყვნენ - პატიოსანი, ვაჟკაცი, შავჩოხიანი თბილისელები. “ყარაჩოხელი” თურქული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „შავჩოხიანს“. ამქრის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, ხელოსნები აქტიურად მონაწილეობდნენ დაკრძალვაში, ოჯახს უგზავნიდნენ ჩაფით ღვინოს, გასათხოვარ ქალიშვილს მზითვს უყიდიდნენ, ქვრივს ყოველდღე საკვებს აწვდიდნენ, ხოლო ღარიბებს ფულს უგროვებდნენ. ასე ყალიბდებოდა ყარაჩოხელი, როგორც ძველი თბილისის პატიოსანი, მშრომელი კოლორიტი. ისინი, ძირითადად, ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების ფენას წარმოადგენდნენ.

ყარაჩოხელის ანტიპოდი იყო კინტო - ქალაქური ცხოვრების უმდაბლესი, დეკლასირებული ფენა. კინტოს ფენომენი საქართველოში ირანიდან გავრცელდა და როგორც ირანში, აქაც მოიხსენიებოდნენ მატყუარებად.

XIX საუკუნეში ხელოსნების რაოდენობა სწრაფად გაიზარდა და ქალაქის მოსახლეობის ზრდასაც კი გადაასწრო. თბილისის ერთ-ერთ ძირითად სოციალურ ფენას ვაჭრები წარმოადგენდნენ. მათ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ ბიზანტიის, არაბეთის, სპარსეთის, ეგვიპტის, შუა აზიის, ჩინეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, რუსეთისა და ბალტიისპირეთის სავაჭრო ცენტრებთან. თბილისელ ვაჭრებს მნიშვნელოვანი წილი ჰქონდათ ექსპორტშიც, რაც მოიცავდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და სამრეწველო ნაწარმს: პირუტყვი, თაფლი, ცვილი, ხილი, საღებავი მცენარეები (განსაკუთრებით, ენდრო).

XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან, დარიალის გზის გახსნის შემდეგ, თბილისელმა ვაჭრებმა კასპიისპირეთის სავაჭრო ცენტრებთან, ნიჟნი-ნოვგოროდთან და მოსკოვთან დაამყარეს კავშირები. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთთან ვაჭრობამ ფართო მასშტაბები შეიძინა. სწრაფად გაიზარდა თბილისელი ვაჭრების ფულადი კაპიტალიც. 1828 წელს მათ ლაიფციგის ბაზრობაზე 10 მილიონი მანეთის პროდუქცია შეიძინეს. ვაჭართა კაპიტალი ნელ-ნელა მრეწველობაშიც შევიდა. გამოჩნდნენ გავლენიანი ვაჭრები და მეწარმეები: სარაჯიშვილები, ზუბალაშვილები, ტერ-გუკასოვი, თამამშევი, ტარიელ ლორის-მელიქოვი და სხვები, რომლებმაც ააშენეს ტყავის, შაქრის, საპნის, სანთლის, ბამბის და არყის ქარხნები.

თბილისის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ბაზარი. 1800 წლისთვის ქალაქში სამი ძირითადი ბაზარი ფუნქციონირებდა. ასევე, არსებობდა მცირე და სპეციალიზებული ბაზრები, სადაც კონკრეტული პროდუქტები იყიდებოდა. 1887 წლის მონაცემებით, ქალაქში ოთხი ბაზარი იყო: ავლაბრის, სალდათის, თათრის მეიდნისა და ვერის ბაზრები. მთავარი სავაჭრო ცენტრი იყო თათრის მეიდანი. ის ითვლებოდა ცენტრალურ ბაზრად, რომელსაც ჰქონდა დახურული ყავრულები სიცხისა და ავდრისგან დასაცავად. აქ დილაობით მშენებლობაზე, მიწის სამუშაოებზე, ბაღ-ბოსტნებში დასაქმებული სეზონური მუშები იკრიბებოდნენ.

1880-იანი წლებისთვის თათრის მეიდანზე დღეში დაახლოებით 20 ათასი ადამიანი იკრიბებოდა. აქ მოდიოდნენ არა მხოლოდ შესასყიდად, არამედ როგორც საზოგადოებრივი თავშეყრის ცენტრში ახალი ამბების გასაგებად და სოციალური ურთიერთობებისთვის. ბაზარი იყო არა მხოლოდ ვაჭრობის, არამედ ეთნიკურ ჯგუფებსა და სოციალურ ფენებს შორის ურთიერთობის, ტრადიციული კულტურის გადაცემისა და შენარჩუნების სივრცე.

თბილისში არსებობდა საკვირაო ბაზარიც - იარმარკა, რომელსაც მოსახლეობა “იარმუკას” უწოდებდა. პირველი იარმარკა 1828 წლის შემოდგომაზე ჩატარდა და ერთი თვე გაგრძელდა. შემდგომში იარმარკა ყოველ კვირა დღეს ტარდებოდა დღევანდელ თავისუფლების მოედანზე.

ქალაქის სავაჭრო ნაგებობების ერთ-ერთი მსხვილი მესაკუთრე იყო ეკლესია. თბილისის თითქმის ყველა ეკლესიას თავის საკუთრებაში ჰქონდა სავაჭრო ობიექტები. თბილელის ეკლესია, მაგალითად, ფლობდა დუქნებს ქალაქის სხვადასხვა უბანში. აქვე მცხოვრები იტალიელი კათოლიკეებიც კი ფლობდნენ სავაჭრო ფართებს.

ამრიგად, ფეოდალური ეპოქიდან მოყოლებული, XIX საუკუნის ბოლომდე თბილისი დიდ ხელოსნურ, სავაჭრო და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა, რომლის საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს ქმნიდა მრავალფეროვანი პროფესიული და ეთნიკური გაერთიანებები.

ათეშგა – ცეცხლის ტაძარი თბილისში

ათეშგა უძველესი ცეცხლის ტაძარია, რომელიც მდებარეობს თბილისში, კლდისუბანში, გომის ქუჩა №3-ში. ათეშგა ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გამორჩეული ღირსშესანიშნაობაა.

წარმოშობა და რელიგიური მნიშვნელობა

ათეშგას, როგორც ცეცხლის ტაძრის, წარმოშობა ზოროასტრიზმს უკავშირდება – რელიგიას, რომელიც სასანიდების ეპოქაში (224–651წწ.) სახელმწიფო რელიგიად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ზოროასტრიზმი თავდაპირველად არ იყო მებრძოლი რელიგია, სასანიდებმა მისი კოდიფიცირება მოახდინეს და აქციეს „ერთიან და მეომარ რელიგიად“. ამ პროცესში, ცეცხლის ტაძრების სტრუქტურაც შეიცვალა – წმინდა ცეცხლი აღარ იყო მხოლოდ განწმენდილი პირების ხილვის საგანი, არამედ უფრო ღია გახდა საზოგადოებისთვის. ჩაჰარტაგი, ტრომპებზე დაყრდნობილი გუმბათებით, როგორც საყოველთაო მოდელი, იქცა ზოროასტრული ცერემონიებისა და რიტუალების აღსრულებისათვის განკუთვნილ ძირითად სივრცობრივ ერთეულად.

ტაძრის ფუნქციის ცვლილება და ისლამური პერიოდი

მრავალი საუკუნის განმავლობაში ათეშგას ფუნქცია იცვლებოდა. თავდაპირველად ის, სავარაუდოდ, წარმართული საკერპო იყო. მოგვიანებით იქცა ზოროასტრისტულ ცეცხლის ტაძრად, ხოლო 1724 წლიდან, როცა თბილისი ოსმალთა ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა, ათეშგა მეჩეთად გადაკეთდა. ამ დროს მოხდა მნიშვნელოვანი გადაკეთებები, რამაც ინტერიერისა და ექსტერიერის შესაბამისობა დაარღვია.

ისლამურმა პერიოდმა ინტერიერის თაღების მოყვანილობა შეცვალა და მას ნაწილობრივ გუმბათოვანი სტრუქტურა შესძინა. მიუხედავად ამისა, ტაძრის შიგნით კარგად იკითხება ათეშგას პერიოდის წყობა. გუმბათი, რომელიც შემორჩენილი არ არის, სავარაუდოდ, დაყრდნობილი იყო იმავე ტრომპებზე, რომელიც მის წინამორბედ სასანურ გუმბათს ჰქონდა.

ისტორიული აღნიშვნები და წყაროები

ათეშგას შესახებ ინფორმაცია არაერთი ისტორიკოსისა და მოგზაურის ცნობებში გვხვდება. პლატონ იოსელიანი, XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, ამ ნაგებობას თბილისის სიძველეთა შორის ასახელებს და წერს: „თბილისელები მას "საკერპოსაც" უწოდებდნენ"; „1845-1875 წლებში ტაძარი ჯერ კიდევ გუმბათიანად იდგა; ქართველ მეფეებს ის წარსულის ძეგლად მიაჩნდათ და კრძალვით ეპყრობოდნენ"; „მოსახლეობის ნაწილი მას მეჩეთად თვლიდა, ნაწილი კი - საკერპოდ, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ნაგებობის თავდაპირველი ფუნქცია ხალხში ბუნდოვნად იყო შემორჩენილი".

ვიზუალური დადასტურება

ათეშგა ასახულია მოგზაურთა ჩანახატებში, თბილისის ძველ გეგმებზე და რამდენიმე ფოტოსურათზეც. ეს მასალა დამატებით ადასტურებს მის კულტურულ და ისტორიულ მნიშვნელობას, როგორც არქიტექტურული ძეგლისა და რელიგიური ცენტრისა.

ათეშგა აშენებულია კალას ერთ-ერთ დომინანტურ წერტილში, რაც ხაზს უსვამს მის სიმბოლურ მნიშვნელობას და ადასტურებს მის რელიგიურ და სტრატეგიულ როლს ქალაქის ისტორიაში.



„ათეშგა", გეგმა (გ. ყიფიანი).

a - პლატფორმის შიდა სივრცეში შემოჭრილი წყობა,
b - პლატფორმის ნაშთები,
c - იატაკის ფრაგმენტი,
d - კლდეში ჩაკვეთილი ღრმული.

„ათეშგა", განაკვეთი (სქემა) დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

c - იატაკის დონე,
d - კლდეში ჩაკვეთილი ღრმული,
e - პლატფორმის გარე დონე (გ. ყიფიანი).



ინტერიერი, აღმოსავლეთი კედელი (ლ. ბოკუჩავასა და ნ. ცინცაბაძის მიხედვით).

ინტერიერი. აღმოსავლეთის კედელი, ავტორის სქემატური ნახაზი კორექტივებით.

ინტერიერი, სამხრეთის მხარე
(ლ. ბოკუჩავასა და ნ. ცინცაბაძის მიხედვით)



ინტერიერი, სამხრეთის კედლის სქემა
(გ. ყიფიანის კორექტივით). c _ იატაკის დონე.



ინტერიერი, დასავლეთის კედელი
(ლ. ბოკუჩავასა და ნ. ცინცაბაძის მიხედვით)



ათეშგას სამხრეთ-აღმოსავლეთი ტრომპი
ათეშგას სამხრეთ-დასავლეთი კუთხე



ინტერიერი - აღმოსავლეთის მხარე
ინტერიერი – დასავლეთის მხარე

პანორამის ფრაგმენტი. P – ქარვასლა, I – ბეთლემი, მის მარცხნივ, ხევის კიდეზე „ათეშგა” (A გ. ყ.).



შარდენის პანორამა, ფრაგმენტი - ბეთლემის უბანი.

ფრაგმენტი შარდენის პანორამიდან. I – ბეთლემი, P – ქარვასლა. მათ შორის კვერცხისებრგუმბათიანი ნაგებობა: „ათეშგა” (A გ. ყ.).

XIX ს-ის ფოტონაბეჭდი.
A – „ათეშგა”, B – ბეთლემი,
B1 – სამრეკლო, B2 – ქვედა ბეთლემი





გრ. გაგარინი, ბეთლემის უბანი. წინა პლანზე ბეთლემის ტაძრის საფეხურები, სამრეკლო, „ათეშგა”

ფრაგმენტი გრ. გაგარინის ნახატიდან – „ათეშგა”.



ძველი თბილისის ზოროასტრული ტაძარი, რეკონსტრუქციის ცდა, აქსონომეტრული ჩანახატი (გ. ყიფიანი).





ძველი თბილისის ზოროასტრული ტაძარი, რეკონსტრუქციის ცდა (გ. ყიფიანი).